წელიწადი მეორე   ფასი 5 კაპ.   ოთხშაბათი, 9 მარტი 1916 წ.   № 54

საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე [illegible] 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი 1 გვ. ღირება 40 კ. 4-ზე 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ღირება 4 მ.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

უპრემიოდ ღირს: ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 50 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.

პრემიებით: წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 მაისამდე—5 მ.

გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაეთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.

სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.

გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.

ფოსტის მისამართი: Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.

რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

ახალი კლუბი

კვირას 13 მარტს 12 საათზე სიტყვაკაზმულ საზოგად. საბჭოს თაოსნობით გაიმართება დილა

სანდრო შანშიაშვილი წაიკითხავს თავის ახალ ნაწარმოებს

„ბერდო ზმანია“

დასურათებულს მხატვარ ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

სურათებს თვით ავტორი ეკრანზე (ბუნდოვან სურათებად) მსმენელთ უჩვენებს.

ბილეთები იყიდება კლუბის კასაში.

წევრნი ქართულ სიტყვა კაზმულ საზოგადოებისა დილაზე შესასვლელ ფასს არ იხდიან. დილის გამგე—ქართ.-სიტყვა კაზმული საზოგადოების საბჭო.

ქართული კლუბის დარბაზში

სემინარიის ქართველ მგალობელთა გუნდისაგან

კვირას, 13 მარტს, 1916 წ.

ამავე სასწავლებლის ღარიბ მოწაფეთა სასარგებლოდ ი. კარგარეთლის ხელმძღვანელობით გაიმართება

სასულიერო კონცერტი

ბილეთების ფასი 50 კ.—2 მ. 20 კ. იყიდება ქართულ კლუბში. დასაწყისი საღამოს 9 საათზე. (0)

ქ. ბაქოში

ღვინით ვაჭრობა

„მელაანი“

თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები

(112—წ.)

შეშის საწყობი

ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა

ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასში

საკუთარი ტყიდან

საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც

(103—წ.) ტელეფონი 5—96.

საგალანტერიო მაღაზია

ერ. ივ. ჭავჭანიძისა და

ი. ი. გველესიანისა

იმყოფება შუა ბაზარში, მანთაშევის ქარვასლაში.

იშოვება ყოველგვარი საგალანტერიო საუკეთესო საქონელი:

ჩულქეულობა, კოლგები და სხვა ახალ მოდის საქონელი

(101—წ.)

საუკეთესო კახური

ღვინის საწყობი

ადამ ზურაბის ძის

ბერელაშვილისა

მოთავსებულია მიხეილის ქუჩაზე № 5. საკუთარი სახლი.

(102—წ.)

სასტუმრო „ავრორა“

ახლად შეკეთებული, მდიდრულად მორთული ნომრები.

უაღრესი სიფაქიზე. ელექტრონის განათება

ქალაქის შუაგულში, ვორონცოვის ძეგლის მახლობლად

ნომრები ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებშია.

თვიურ მდგმურებს ფასდაკლებით ეთმობათ.

სასტუმროსთან მოწყობილია

სამზარეულო, ვანები თბილი და ცივი წყლით.

თბილისი, მიხეილის ქუჩა № 5. ტელეფონი 12—85.

(წ.—)

მისი იმპერატორების დიდებულების ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრა თეოდორეს ასულის

ტფილისის საწყობის კომიტეტი.

რომელსაც მისი იმპერატორებითი უმაღლესობა დიდი მთავრის მეუღლე ანასტასია ნიკოლოზის ასული თავმჯდომარეობს, საყოველთაოდ აცხადებს, რომ მისი დიდებულების საწყობი გადავიდა გრიბოედოვის ქუჩიდან, გოლოვინის პროსპექტზე, სახ. № 8.

საწყობი ღებულობს ყოველგვარ შემოწირულებას. ფულით, მასალებით, საცვლებით, სათბილობლებით, მედიკამენტებით, ჭრილობების შესახვევ მასალებით და სანოვაგით (ჩაი, შაქარი, ყავა, კაკაო, შოკოლადი, თამბაქო ჲ სხ).

ვისაც ჰსურს უფასოდ მუშაობა საცვლებისა და სხვა საგნების დასამზადებლად, უნდა გამოცხადდეს საწყობში დღისით, გარდა კვირა-უქმეებისა, დილის 11 ს.-დან 6 საათამდე.

ამავე დროს მიიღება შემოწირულებანი ფულითა და ნივთებით და აძლევენ მასალას შინ სამუშაოდ.

თანხისა და საქონლის რაოდენობის სიმცირისა ნურავის მოერიდება. ყოველი შემოწირულება ულრმესის მადლობით მიიღება.

საწყობის ტელეფონი. № 18—85.

განცხადება

იმ ხელშეკრულობის ძალით, რომელიც 1916 წ. 24 თებერვალს დაიდო ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო-სამრეწველო კომიტეტსა და ინჟენერ ივანე სერგეის ძე პონდოევის შორის, მისი საწყობიდან, რომელიც მოთავსებულია თბილისში ელისაბედის ქუჩაზე № 127 და 164, იძლევიან თავდაცვისათვის საჭირო ყოველგვარ რკინეულობას და სხვა საშენებლო მასალას პირობის წერილში განსაზღვრულის ნიხრით.

ყოველგვარ ცნობისა და მასალის მისაღებად უნდა მიმართონ სამხ. სამრ. კომიტეტის სამექანიკო განყოფილების კანტორას, ელისაბედის ქუჩა № 184

(10—120—2)

ვასწავლი

ქართულ „სიმღერა-გალობას“ ჲ ვამზადებ მომღერალ-მგალობლებს, დიდ და მუდმივ სახალხო გუნდისათვის. მიღება და ჩაწერა

მიხეილ კავსაძესთან

(ჩუღურეთის წმ. ნიკოლოზის ეკლესიის სკოლა.—ორშაბ., ოთხშაბ. ჲ პარასკეობ. საღ. 6-9-დე).

ვასწავლი მუშა ხალხსაც.

ექიმი მ. გ. ვეფხაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიეზდის ქუჩა, № 19.

20—67—2

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ექიმი-დოსტაქარი

გ. მ. მუხაძე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

ომის ამბები

ომის დეპეშები

უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.

პეტროგრადი, 7 მარტი. ოფიციალი. **დასავლეთი ასპარეზი.** კანგერის ტბის რაიონში გერმანელთა რაზმები შეეცადნენ რუსთა ბანაკში შეჭრას, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დვინსკის რაიონის სამხრეთით ზოგიერთ ადგილას მკვირცხლი საარტილერიო ბრძოლაა. ქვეითი ჯარიც იღებდა მონაწილეობას. დრისვიატის ტბის სამხრეთით გერმანელთა იერიშები მოგერებულ იქმნა. დაბა ტვერჩეს რაიონის აღმოსავლეთით რუსებმა ბრძოლით აიღეს დაბა ველიკოე სელო. იმავე დაბის რაიონში რუსებმა კონტრიერიში მოიგერეს და დავლად აიღეს 2 ტყვიის მფრქვეველი. ნაროჩის ტბისა და ვიშნევსკის შუა რუსის ჯარებმა ბრძოლით აიღეს დაბა ზენაპოჩი და ს. ოსტროვთან გაყოლებული თხრილების ერთი ნაწილი. გალიციაში დნესტრზე რუსებმა ენერგიულად შეტევის შემდეგ აიღეს სოფ. მიხალჩეს აღმოსავლეთით თხრილების ნაწილი.

კავკასიის ასპარეზი. ზღვის სანაპიროებზე ოსმალნი სხვა და სხვა ადგილას შეეცადნენ წინ წამოსვლას, მაგრამ რუსებმა მარჯვედ შეაჩერეს როგორც ხმელეთით ისე ზღვით. დევნის დროს რუსებს ხელ-ახლად ტყვედ ჩაუვარდათ რამდენიმე აფიცერი და 150-ზე მეტი ასკერი. დავლად რამდენიმე ტყვიის მფრქვეველი დარჩათ.

--

პარიზი, 6 მარტი. ვერდენთან ბრძოლის მესამე პერიოდში გერმანელთა იერიშები მაასის მარჯვენა ნაპირებზე ძველი მრისხანე ხასიათი აღარ აქვსთ. ჩვენი ციხის საარტილერიო ქარიშხლისებურმა ცეცხლმა გასტეხა მათი მესამე იერიში ვო-და-მლუს ფრონტზე. ამნაირად, გერმანელთა იერიშებს მათთვის არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. დღეს მათი იერიშები აღარ არის ძველებური შეჯგუფებული რაზმების სახით რომ შეუჩერებლივ მოდიოდნენ. გერმანელთა ოფიციალ უწყებაში ამ იერიშებს ახასიათებენ როგორც მოგერებით ტაქტიკას. თუ 28 დღის განმავლობაში ბრძოლა მართლა მოგერებითია, მაშინ კრონ-პრინცს სრულიად იმედი დაჰკარგვია გამარჯვებისა.

ლონდონი, 6 მარტი. სამხედრო მინისტრის ცნობა. დღეს აღმოსავლეთის კენტის თავზედ 4 გერმანელთა გიდროპლანი გამოჩნდა—5,000 – 6,000 ფუტის სიმაღლეზედ. პირველმა 6 ყუმბარა გადმოყარა ნავთსადგურში და შემდეგ ჩრდილო-დასავლეთით გაეშურა. ქალაქზე ყუმბარების სროლით. მეორე გადაფრინდა დუვრზედ და დილზედ 2 ს. 13 წუთ. და ჩამოყარა იქ რამდენიმე ყუმბარა. ორი ჰაეროპლინი რამსგეტის თავზედ გამოჩნდნენ და ქალაქზედ ყუმბარები გადმოყარეს. ბრიტანელ მფრინავების გამოდევნების შემდეგ ერდი დსსავლეთით გაეშურა, და მეორე ჩრთილოეთით. უკანასკნელი ჰაეროპლანი 2 ს. ჲ 30 წ. ვესტგეტზედ გამოჩნდა, მას მფრინავები გამოედევნენ. ყუმბარები მას არ ჩამოუყრია. როგორც გვაცნობენ დაზარალებულთა რიცხვი შემდეგია: მოკლულია 3 კაცი, 1 ქალი, 5 ბავშვი, დაჭრილია 17 კაცი, 5 ქალი, 9 ბავშვი. სულ 48 ყუმბარა ჩამოყარეს. ერთი დაეცა კანადის გოსპიტალს და დააზიანა. დანგრეულ და დაზიანებულია რამოდენიმე სახლი. მფრინავთა რაზმის უფროსი ბონი მტრის ჰაეროპლანებს, ერთი ერთ ადგილიან აეროპლანით გამოედევნა და ნაპირიდან 30 მილი სდევნა. ბრძოლის შემდეგ მტრის ჰაეროპლანი იძულებული გახდა ჩამოშვებულიყო. მფრინავი და მისი თანაშემწე მკვდარი აღმოჩნდენ, აპარატი დაზიანებული.

პარიზი, 6 მარტი. ოფიციალი ცნობა. საესკადრო ნაღმოსანი „ლორენოდენი“ დილით 5 მარტს მტრის წყალქვეშა ნავმა დაჰლუპა ადრიატიკის ზღვაში. დაიღუპა 3 აფიცერი, მათ შორის ერთი კამანდირი და მისი თანაშემწე და 44 მეზღვაური. 2 აფიცერი და 34 მეზღვაური ფრანგთა მეორე ნაღმოსანმა გადაარჩინა. ეს ნაღმოსანი „ლორენოდენის“ თანამგზავრი იყო.

რომი. ოფიციალი ცნობა. ტრენტანის საზღვარზე და ზედა ადიჟზე 4 მარტს არტილერიის ბრძოლა სწარმოებდა. მტერი ჩვენს მონტე-კოლოს პოზიციებს ესროდა, მაგრამ უშედეგოდ. 5 მარტს ღამით ჩვენმა სამთო რაზმებმა გელბევანდის პოზიცია დაიკავეს. ტოლმინოს რაიონში არტილერიის და ქვეითი ჯარის იერიშების შემწეობით მტერმა ზოგიერთი ჩვენი პოზიციების დაჭერა მოახერხა. მტრის ჰაეროპლანები ყუმბარებს ისროდა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

ვერდენთან

პარიზიდან იტყობინებიან: აქაურ სამხედრო წრეების აზრით ვერდენთან ბრძოლის მიყუჩება იმისი მომასწავებელია რომ გერმანელები ახალი შეტევისათვის ემზადებიან. ეს შეტევა იქნება მეტად ძლიერი და მედგარი, თუმცა მაინც ადგილობრივი მნიშვნელობა ექმნებაო.

ალბანეთში

ავსტრიელები ამ ცოტა ხანში აპირებენ ვალონაზე გალაშქრებას. ამ ლაშქრობაში მონაწილეობას მიიღებს ავსტრიელთა 4 დივიზია გენერალ სოროვიჩისა და ბრაუნის სარდლობით და 15 ათასი მირიდიტები, რომელთაც ავსტრიის აფიცრები ჰხელმძღვანელობენ.

ალბანეთის ტახტზე ბულგარელებს ჰსურთ გაამეფონ ბულგარეთის მეფე ფერდინანდის ძე ბატონიშვილი კირილე, ავსტრიელებს კი ისევ პრინცი ვიდი უნდათ ალბანეთის მეფედ.

ბულგარეთის სამი დივიზია ოხრიდასთან არის დაბანაკებული ზემო სკუმბის ველში. ამ ბანაკს სამხრეთ ალბანეთიდან ჰყოფს ყუმის ქედი, 2000 ადლის სიმაღლისა.

მცირე აზიაში

სტამბოლიდან „რ. ვ.“-ს ატყობინებენ: რუსეთის ჯარის ფეხმარდმა წინსვლამ მცირე აზიის მაჰმადიანობა საგონებელში ჩააგდო. სივასის მცხოვრებნი იხიზნებიან. 100 ათასამდე ხიზანი ანგორას მიაწყდა, 80 ათასამდე კონიას.

სიძვირე პარიზში

პარიზში სანოვაგეზე ნიხრი დააწესეს, მაგრამ ვაჭრები მაინც ნიხრს არ დაგიდევენ. პარიზში დაწესებულის ნიხრით სანოვაგე სოფლად იყიდება. მთავრობა სანოვაგის საწყობების გამართვას აპირებს და იმედოვნებს, რომ კაპიტალისტები ამ საქმისთვის დიდძალ თანხას შესთავაზებენ.

კ. შუმსკის აზრი

მაასის მარჯვენა ნაპირას მდებარე პუაცრის სიმაღლეზე გერმანელები ხელის ყუმბარებით იბრძოდნენ. ეს პოზიციურ ბრძოლაზე გადასვლის მოახლოებას მოასწავებს.. პუავრის მაღლობი თითქმის ერთმანეთთან აკავშირებს მდ. მაასს დუომონის სიმაგრესთან ე. ი. პუავრი მაასსა და დუომონის შუა მდებარე ადგილას სდარაჯობს. ეს ის ადგილია, სადაც გერმანელები სცდილობენ ფრანგების ჯარის გარღვევას და ვერდენის სიმაგრეებისაკენ გაჭრას.

გერმანელების სანგრები პუავრის მაღლობზე თითქმის ფრანგების სანგრებს ზედ ეკვრის. 26 თებერვლის ბრძოლის დროს, დუომონის მიდამოებში გერმანელები მჭიდროდ დარაზმული ოთხ კიბურ წყებად სამჯერ მივიდნენ იერიშით. აქ იბრძოდა გერმანელების 15 კორპუსი მაინც. ეს ამოდენა ჯარი მიდიოდა მხოლოდ 25 ვერსის სიგანეზე.

გერმანელების ასეთი თავგანწირული იერიშები ალბად იმას უნდა მიეწეროს, რომ უნდა ახალი 10 მილიარდი სესხი აიღონ. აქ გამარჯვება კი ამისი თავდები იქნებოდა. ამას წინად აღებული სესხის თავდები სერბეთის დაპყრობა იყო.

ეხლა გერმანელები ისევ მაასის ველში არიან დაბანაკებულნი იმ მთის ფერდოებთან, სადაც გაშენებულია ვერდენი.

ძაფი თუ ხიზილალა.

ამას წინად გალიციაში რუსეთიდან რუმინეთისაკენ მიმავალ საქონლის მატარებელში აღმოაჩინეს, რომ ხიზილალის ბოჭკებით რუსეთიდან თურმე საკერავ მანქანის ძაფი მიჰქონდებიათ. თურმე გორგლებს გარედან თხლად ჰქონდა წაცხებული ხიზილალა. სულ 60 ბოჭკა ყოფილა, თითოში 1500 დუჟინი გორგალი იყო თურმე. ზოგ ბოჭკაში კაუჩუკიც ყოფილა. საბაჟომ საქონლის პატრონები კაკულუდი და პაპაიანისი 30 ათასი ფრანკით დააჯარიმა.

—

„რუსკ. ინვ.“ ვერდენის ბრძოლას ეხება და ამბობს: რადგანაც ვერდენთან გერმანელებმა თავისი საწადელი ვერ აისრულეს, რუსეთის ჩრდილოეთის ასპარეზზე უნდა ველოდეთ დიდს ამბებსაო. თუმცა საეჭვოა, რომ აქეთ მათ შეიძლონ 42 სანტიმეტრიანი ზარბაზნები მოზიდონ, რადგანაც ჭაობიანი ადგილებია.

—

რუსეთის მიწადმოქმედების მინისტრი ნაუმოვი თხოულობს 1,760,000 მანეთის გადადებას მთელი რუსეთის შინაურ საქონლის აღსანუსხავად.

ნავთის შეძენა.

გერმანეთის წარმომადგენლებს რუმინეთის მთავრობასთან მოლაპარაკება აქვთ ნავთის შეძენის თაობაზე. სულ სდომნიათ 6000 ვაგონი ნავთის გაზიდვა.

განძის პოვნა.

იაპონიის მთავრობამ, ბევრი კვლევა-ძიების დროს გერმანელებისაგან ჩამორთმეულ ცინდაოში მიაგნოს მიწაში დაფლულ განძეულობას.

ზავის გარშემო.

„კიოლნიშე ცაიტუნგ“-ი სწერს: ფრიდიხ დიდის და ბისმარკის მაგალითს მივდიოთ. ჩვენ სიხარბე არ გვამოქმედებს, რომ ქვეყნები დავიპყრათ და შემოვიერთოთ. ბისმარკმა 164, 1866 და 1871 წლებში ის შეგვძინა რაც აუცილებლად ესაჭიროებოდა გერმანეთს.

უკანასკნელი ფოსტა

გუსტავ ერვე.

ჟურნალ „ვიქტორია“-ში მოთავსებულია გუსტავ ერვეს წერილი: „დამარცხებული სული“. ამ წერილში ერვე აცხადებს, საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის ცენტრალ კომიტეტიდან გამოვდივარო. ერვე სწერს: სოციალისტურ პარტიას დიდი განსაცდელი ელის მესვეურთა უნებისყოფობის გამო. უკანასკნელ კონფერენციის დროს, როდესაც ზოგიერთი ამხანაგი ზავის მომხრე იყო, მათი დაგმობისა და პარტიიდან განდევნის ნაცვლად, მათთან მოლაპარაკება გამართეს. ამით წაქეზებული ზავის მომხრენი უფრო თავგამოდებით განაგრძობენ მოქმედებას. . . . .

ეხლა, დღესავით ნათელია, რომ უპირატესობა ცენტრალ სახელმწიფოთა მხარეზეა. ასეთ პირობებში ზავის ჩამოგდება მომასწავებელი იქნება იმისა, რომ მთელი ევროპა 45 წლის განმავლობაში მაინც 42 სანტიმეტრიან ზარბაზნების მზადებაზე გადაეგოს.

ბრძოლის ველზე

ჩვენ გვავიწყდება, რომ ვერდენის ციხე აზრუმს არ წარმოადგენს და არც ფრანგები შეგვიძლიან ოსმალთა თანასწორად დავაყენოთ. არა, პირველ ხარისხოვანი ციხე, რომელიც ბუნებრივ ციხის კალთებს ფოლადის ბურჯებით დაბჯენია და ფრანგ აღფრთოვანებულ მამულიშვილთა თავგანწირულება თავდებია იმისა, რომ გერმანელთ ადვილად არას დაუთმობენ, მტკაველი მიწა სისხლის ფასად დაუჯდებათ.

აი, ამიტომ გახლავთ, რომ ეს არაადამიანური ბრძოლა დღესაც ასეთი სასტიკი სახით სწარმოებს და ოპერაციის დასასრულს ავსა თუ კარგს ბოლო არ უჩანს.

გაჟინიანებულმა ბრძოლამ მებრძოლი ხალხი გააფანტაზიორა. სენსაციის შექმნა ერთგვარ პატრიოტობად მიაჩნიათ.

არ გამართლდა თვით პერემიშლთან რაღაც ორიოდ საათში 800 ათასი ყუმბარის გამსროლა. ასეთი ციხის გამო 800 ათასის დახარჯვა გერმანელთ აქამდინ გაანადგურებდათ. ამიტომაც იმ დროს მენშიკოვის შენიშვნას „ნოვოე ვრემიას“ ფურცლებზე სრულიად გასასამართლებელი საბუთი ჰქონდა: გერმანელები თუ კი ასე განაგრძობენ ყუმბარების ხარჯვას ლვოვს ვეღარ გადმოაცილებენ, რადგანაც ფიზიკურად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ისეთი ქარხანა, რომელსაც ამდენი ყუმბარების კეთება შესძლებოდესო. მართალიც იყო. საჯოჯოხეთო სროლა 800 ათას ყუმბარას არ შეიცავდა ისიც ორიოდ საათში!

კორესპონდენტთა ცრუ ამბებად მიგვაჩნია გუშინდელ ჩვენს გაზეთში მოთავსებული ჩვენს საკუთარ კორესპონდენტის ცნობაც, ვითომც გერმანელთ ვერდენის ოპერაციის დასასრულებლად ერთი მილიონი ჯარისკაცისთვის თავი მოეყარათ. ეს, ფრანგები რომ იტყვიან, blagne-ი უფრო გახლავთ, ვიდრე სერიოზული ამბავი. მართალია, ჩვენც, როგორც მრავალ სხვას, ვერდენის ციხე გენერალურ ბრძოლის შესავალად მიგვაჩნია, ისიც მართალია, რომ აქედან მოველით სერიოზულ ამბებს, შესაძლებელია, ბრძოლის გარდამწყვეტსაც, მაგრამ ის, რომ აქ ერთი მილიონი ხალხი წარმოვიდგინოთ, ეს კი შეუძლებლად მიგვაჩნია, ზღაპრად. გერმანელები მაინც და მაინც სასწაულით მიწიდან არა ძვრებიან. თუ 1914 წელს საფრანგეთში ძლივს 900 ათას კაცს მოუყარეს თავი, როდესაც საქმე არც ისე გამწვავებული იყო და რუსეთის ფრონტზე არ ჰყვანდა დაბანდებული, დღეს ეს შეუწყნარებლად მიგვაჩნია, რადგანაც ვერ წარმოგვიდგენია, რომელი ფრონტი შეეძლოთ გერმანელებს შე[illegible]ბინათ, რომ ვერდენის სამსხვერპლოს მთელი მილიონი ხალხი შესწირეს?

ფოკუსი ვერდენის ოპერაციისა უბრალო სისხლისღვრას არ შეადგენს.

გერმანეთის მხსნელი ისევ მათი ძლიერი არტილერია და ოპერაციის ნელი განვითარებაც ამ არტილერიის დადგმა მოწყობაზე ჰკიდია. ვერდენის სხვა და სხვა სექტორებში მათი თავისუფალი მანევრები ხშირად ბრძოლის სახითა სადდება.

ამ ჟამად ბრძოლა დუომონ-ვოს სექტორთა სარტყელში ჩვენთვის მხოლოდ პირბადიანი დემონსტრაციაა მთავარ მოქმედების ხაზის განსამტკიცებლად. ის ხაზი არც ვოა, არც ფრუნი, რასაც ხშირად ვხვდებით უკანასკნელ ბიულეტენებში, არამედ სრულიად დიამეტრალი მხარე—ბეტანკურ მორტომისა, სადაც გერმანელებმა დროებით ბრძოლა შეაჩერეს. აი, აქა გერმანელთა ცოცხალი ტალღის გასაქანი, აქ მაღლობთა დაუფლება,—აი სადა სცემს მათი მახვილი. რომ გენერალისიმუს [illegible] მოთმინებიდან გამოიყვანონ და მთავარ ბრძოლაში ჩაითრიონ.

რომ გერმანელები ეტრფიან ამ გადამწყვეტ ბრძოლას, ეს აშკარაა. მათი სამხედრო ძლიერება თუ შავბნელი გენიოსობა იმ საშინელებაზე მეტს ვეღარას აღმოაჩენს, რაც შესძლო დღემდე. თავიდან ბოლომდე იარაღში ჩამჯდარი საბოლოო ნახტომებს აკეთებს, რომ ან დაიმსხვრეს, ან გაიმარჯვოს. პასიურად დგომა და ლოდინი, რომ მოგერებით ტაქტიკას დაადგეს, ეს მისთვის სიკვდილი იქნება. მართალი იყო მაქსიმელიან გარდენი, როდესაც პატრიოტულ აღმაფრენით აუწყა მამულიშვილთ: ყოველ ღონეს მოვიხმართ, რომ ბრძოლა სწრაფად გადავწყვიტოთ, თორემ ჩვენი ჯდომის დროს ხელიდან გამოგვეცლება მსოფლიო ბაზრები, რის დაპყრობაზედაც ამდენი ძალ-ღონე შევალიეთო.

მაგრამ საკითხი იბადება, რაღად ისრისავენ თავს გერმანელები ვოს სიმაგრეზე, თუ კი მთავარი შეტევა აქედან არ მოხდებაო. აი რად: გერმანელთა ყოველი ნაბიჯი მაასის მარჯვენა ნაპირზე მოასწავებს როგორც ხსენებულ-ფორტ დუომონ-ვოს აღებას, ისე [illegible] მაღლობისას. ფორტი დუომონი მათს ხელშია. თუ ვოსაც ჩაიგდებენ, მაშინ მთელი ამ ხაზის საშუალებით შეეძლებათ მძიმე ზარბაზნები დასდგან და პირდაპირ ვერდენის მარჯვენა ფორტების მთავარ ხაზს დაუშინონ. ფრანგებიც სწორედ ამიტომ აქეთკენ აწყდებიან და არ უშვებენ გერმანელთ. მაგრამ ბრძოლის მთავარი ფაქტორები მაასის მარცხენა ნაპირზე უნდა გაიშალოს ბეტანკურ-კიუმიერის ხაზზე. თუ ეს ხაზი არ გადაანგრიეს, თუ ამ პაუზის დროს გერმანელებმა ვერ მოახერხეს დიდი ზარბაზნების დადგმა და ამ ძლიერი პოზიციების გარღვევა, მაშინ უკუ უნდა იქცნენ და ინიციატივა ბრძოლისა გარდაულოცონ ფრანგებს, რაიც მორალურ თვალსაზრისით ბრძოლაზე ხელის აღების თანასწორი იქნება გამარჯვებას ჩვეული ჯარისათვის.

X

P. S. წერილი უკვე დამთავრებული გვქონდა, როცა საკუთარ კორესპონდენტის დეპეშა მივიღეთ: „ვერდენთან გერმანელებმა აღმოაჩინეს ფრანგთა 27 ახალი დივიზია“, ხოლო ქვემოდ „მთაშავეთის მთავრობა სკუტარის რეგენტი მირკო, გენერლები ვუკოტიჩი და მარტიროვიჩი ავსტრიელებს დაჰნებდნენო თუ გამართლდა პირველი ამბავი, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ კლემანსოს პოლიტიკას გაუმარჯვებია [illegible] მიუშველობით ვერდენის გარნიზონის გასაძლიერებლად. მეორე ამბავი კიდევ კატავასია გახლავთ მთაშავეთის აღსასრულისა. ბალკანეთის ოპერაცია სრულიად მიწურულია.

X

თბილისი, 9 მარტი.

სამეურნეო თათბირი და სამეურნეო თვითმოქმედება.

ქართული სოფელი დღეს რომ განსაცდელშია ჩავარდნილი, ქართველი ერის ყოველმა წევრმა უწყის; სამი წლის ბალღმა ისევე მშვენივრად, როგორც ასი წლის მოხუცმა. ოჯახის დამშევამ და მისმა ულუკმაპუროდ დარჩენამ ყველას კარგად შეაგნებინა, რომ ჩვენი ქვეყნის გამოკვების საქმე უნუგეშო მდგომარეობაშია. ეს მდგომარეობა გაუარესებისაკენ მიდის. სამეურნეო ტეხნიკა დღესაც ისეთივეა, როგორიც წინად იყო, ჩამორჩენილი, გამოუსადეგარი, ამ მხრივ მდგომარეობა იგივე დარჩა. ამის გარეშე-კი ბევრი რამ შეიცვალა. შარშან და შარშან წინ წინა წლებიდან გადანარჩენი ჰირნახული კუთხე-კუთხე მაინც მოიპოებოდა და დამშეულ მხარეს ადვილად შეეძლო თავის გამოკვება, პურის შოვნა მეზობლისაგან. ესეც რომ არ ყოფილიყო საქართველოს საზღვრის გადაღმიდან პურის შემოტანა ადვილი იყო და ამიტომაც ფქვილის ფასი თითქმის ჩვეულებრივი რჩებოდა. დღეს ლაპარაკიც არ შეიძლება წინა წლების ნაჰირნახულევზე. ზედიზედ ორი სამი წლის ქრონიკულმა მოუსავლობამ ყველაფერი შეილია და ქვეყანა მაინც ვერ ასცდა მასიურ სიმშილს. საქართველოს საზღვრების გადაღმიდან ოქროსაც რომ მუქთად არიგებდნენ, იმასაც ვერ ჩამოიტანთ. ისე კარგათ არის მოგვარებული ამ დალოცვილ სახელმწიფოში რკინის გზის საქმეები!

მიმოსვლაც რომ ძნელი არ იყოს, ფქვილის შოვნა გაძნელებულია საერთო სახელმწიფო სიტუაციის გამო. ყველა ამის გამო ჩვენში სიმინდისა თუ პურის ფქვილის ფასმა საშინლად აიწია. ამ მხრივ წლევანდელი მდგომარეობა შარშანდელზე ბევრად უარესია. შარშან სოფელს გაცილებით მეტი მუშა ხელი ჰყავდა, ვიდრე მიმდინარე სამოსავლო წელს ეყოლება, რადგან შარშანს აქეთ ბევრი მოლაშქრე და ბევრი ახალი ჯარისკაცი გაიყვანეს! ამდენი მუშა ხელის დაკლება, ცხადია, ყანის დიდ სიმცირეს გამოიწვევს, რაიც საერთო მოსავალს შეამცირებს. შარშან სოფელს გაცილებით მეტი მუშა საქონელი ჰყავდა, შარშანს აქეთ საქონლის ახალი რეკვიზიცია მოხდა და სოფელს წაერთვა დიდძალი ხარ-კამეჩი თუ ცხენი. ამ საქონლის მაგიერობას ჩვენი სოფელი მეურნე ვერას გზით ვერ აინაზღაურებს, [illegible] და ელექტრონის სამეურნეო მანქანების [illegible] შეგნება და სურვილიც რომ დიდათ აღძრულიყოს, ამ ომის დროს, მაინც არავითარი იმედი არ არის, რომ დღევანდელს პირობებში ჩვენი სოფელი ამ მანქანების შეძენას მოახერხებდეს. რეკვიზიციამ პირდაპირ სასიკვდილო ჰრილობა მიაყენა ჩვენი სოფლის მეურნეობას.

ეს [illegible] მხრივ, დიდად [illegible] ყანის სიკრცეს დამდგომ სამოსავლო წელს. ყველა ზემო ჩამოთვლილი სოფლის მეურნეობა მეტის მეტ უნუგეშო მდგომარეობაშია.

დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა რუსეთში იმ განსხვავებით, რომ იქ მთავრობა მეტ დახმარებას უწევს სოფლის მერრნეობას და არსებული საერობო ორგანიზაცია ფართე თვითმოქმედების საშუალებას აძლევს სოფლის საზოგადოებათ. ყველა ამ შელავათიან პირობებს მოკლებულ საქართველოსთვის კი მომავალი სამოსავლო წელიწადი იქნება. ჩვენი ქვეყნის ხსნა ჩვენსავე თვითმოქმედებაში და თაოსნობაში უნდა ვეძიოთ. მთავრობისა თუ სხვა უცხო ძალის გამოყენებაც იმდენად შეიძლება, რამდენადაც ჩვენ ავმოქმედდებით და ეროვნულის ერთსულოვნებით მივალთ მთავრობის პირებთან, თუ სხვებთან ერთად, ვიშუამდგომლებთ მათ წინაშე და შევაწუხებთ შესაფერი თხოვნით და მოთხოვნით. წინასწარ კი საჭიროა დაახლოვებით იმის გამონგარიშება, რა ნაირი და რა ზომის დახმარება სჭირია ჩვენს სოფლებს, რომ შემდეგ ამის კვალობაზე გადადგმულ იქმნას შესაფერი ნაბიჯი. აუცილებელია ეს დიდი საქმე ითავოს რომელიმე საზოგადოებამ, თუნდაც ქართულმა სასოფლო სამეურნეო საზოგადოებამ, და შესაფერი ფურცლები დაუგზავნოს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში არსებულ სათანადო ქართულ დაწესებულებათ, რომ ადგილობრივ დაახლოვებით ივარაუდონ გასაჭირის სიგრძე-სიგანე და თავის წარმომადგენლებიც გამოგზავნონ თბილისში სრულიად საქართველოს სამეურნეო თათბირზე დასასწრებლად, რომლის მოწვევას თადარიგს უნდა შეუდგეს დასახელებული სასოფლო სამეურნეო საზოგადოება. თუ არ საკუთარი ძალების მობილიზაცია ამოძრავება, თუ არ საკუთარი ეროვნული ორგანიზაციების შექმნა, თუ არ ეროვნული ეკონომიური ძიება და პოლიტიკა, საქართველოს მეურნეობის მახლობელი მომავალი წინდაწინვე დასამარებულად უნდა ჩაითვალოს და საქართველოს სიმშილი გამოუფიტებს სასიცოცხლო ძალასა და ენერგიას.

~

ბ-ნ ხვოსტოვის წასვლის გამო.

შინაგან საქმეთა მინისტრი ბ-ნი ხვოსტოვი თანამდებობიდან გადააყენეს. დღევანდელ განსაკუთრებულ დროსა და პირობებში სამინისტროს შედგენილობას დიდის სიფრთხილით და შერჩევით ქმნიან და ისეთ პასუხსაგებ უწყების მინისტრის გადაყენება, როგორიცაა შინაგან საქმეთა მინისტრი, მსხვილ ფაქტად ჩაითვლებოდა, უკეთუ ამ ფაქტს რაიმე ორგანიული კავშირი ექნებოდა შინაგან პოლიტიკის თუ საერთაშორისო ომის საკითხთან. მაგრამ ამ მხრივ, საქვეყნოდ მაინც, არავითარი ცვლილება არ მომხდარა არც

მასალები სწავლა-განათლების საკითხის შესახებ საქართველოში

> ინტელიგენციის ძალა ხომ მის ცნობიერების ძალაში ისახება... და რამდენადაც დავაკვირდი საგანს, ქართველ ინტელიგენციის მე-XIX საუკუნის ისტორია არ არის თავის უფლების მცნობ ერის ინტელიგენცის ისტორია.
>
> **არჩილ ჯორჯაძე.**

„პირველი კითხვა, (ასე დასძენს ნ. ჟორდანია) რომლის გამო ეს ორი ორგანო ერთმანეთს დაეტაკნენ, იყო კითხვა სათავად-აზნაურო სკოლის შესახებ. „ივერია“, როგორც ვიცით თანამედროვე ერის ბურჯათ აღიარებდა მეურნეობას, ხოლო მეურნეობის ბურჯათ სამეურნეო სწავლა ცოდნას. ამისათვის ის გამოვიდა კლასიკურ გიმნაზიის წინააღმდეგ და სამეურნეოს მომხრეთ... ამ კითხვამ დიდი პოლემიკა ასტეხა „კვალსა“ და „ივერიის“ შორის და ბოლოს „კვალმა“ გაიმარჯვა... ასე თუ ისე „კვალი“ პირდაპირ წინააღმდეგია „ივერიის“ სათავად-აზნაურო სკოლის საქმეში და კიდევაც გაიმარჯვა“*).

დღევანდელ მიმოხილვაში ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ამ მოწინააღმდეგე ბანაკთა მიერ წამოყენებული უმთავრესი დებულებანი. შეძლებისა დაგვარად ჩვენ უნდა ჩავსწვდეთ საქმის სიღრმეს და გამოვარკვიოთ შემდეგი მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო საკითხი და ფაქტი: როგორ მოხდა, რომ მესამე დასელების ორგანო (რომლის მრწამსსაც შეადგენდა—ქართულ დემოკრატიის დაცვა გაბატონებულ კლასთა ექსპლოტაციისაგან) გამოვიდა კლასიკურ გიმნაზიის მომხრედ? როგორ მოხდა, რომ მან შეგნებულად უარყო უფრო დემოკრატიულ სკოლის პროექტი და მხარი დაუჭირა გაბატონებულ უმცირესობისათვის საჭირო სასწავლებელს?

მაშ—შეუდგეთ ახლა და განვიხილოთ ჯერ კლასიკურ გიმნაზიის მოწინააღმდეგეთა დებულებანი და მათი დასაბუთება. შეძლებისა დაგვარად ვეცდებით ავალაპარაკოთ თვით წერილების ავტორები, მხოლოდ ამ წერილების ხრონოლოგიურ სიმტკიცეს კი არ გამოუდგებით და გვერდს აუხვევთ.

მეტად საყურადღებო და საგულისხმიერო კორესპონდენციაა მოთავსებული 1893 წლის გაზეთს „ივერიის“ 127 №-ში. კორესპონდენცია თელავიდან არის გამოგზავნილი და ეხება თელავში მომხდარ თავად-აზნაურთა კრებას, რომელიც გამართული იყო კახეთის მევენახეთა საზოგადოების დაარსების გამო.

„...კრება დაშლას აპირებდა, სწორედ ამდროს წამოდგა თავადი გ. მაყაშვილი და პირდაპირ ჰკითხა თავადს ილია ჭავჭავაძეს: ნუ კი მიწყენთ უადგილო და უდროვო კითხვისათვის და გთხოვთ მიბრძანოთ, მართალია ვითომც ბანკი მოგებასა და წაგებას შუა ტოკავს და ვითომც თქვენ გინდოდეთ სათავად-აზნაურო სკოლის დაკეტვა?

ეგ, ბატონებო, დაიწყო თავად ილია ჭავჭავაძემ, ისეთივე ჭორია, როგორც არა ერთხელ გაგიგონიათ... განა შეიძლება მე-XIX საუკუნის დასასრულს იყოს ვინმე განვითარებული კი არა, სრულიად არაფრის მცოდნეც, რომ რომლისამე სკოლის დაკეტვა უნდოდეს? თბილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან, როცა დაარსდა, მომეტებულ სარგებლობას ელოდნენ ვიდრე გამოცდილებამ დაგვანახვა. ახლა ცხადათ ვხედავთ, რომ დიდძალი ფული იხარჯება ამ სკოლებზედ და სამაგიერო ცოტა რამ სარგებლობა მოაქვს. მიაქციეს ამ გარემოებას ყურადღება, და ქართველობა ორს ნაწილად გაიყო...

მეც იმ აზრისა ვარ, რომ სამეურნეო სკოლას უფრო მეტი სარგებლობის მოტანა შეუძლიან, ვიდრე ახლანდელ სათავად-აზნაურო სკოლას. **რადგანაც ჩემ შეხედულობას არა ვმალავ, ვამბობ ყველგან, სადაც კი შევხვდები, და აი ამაზედ გამომიგონეს, ვითომც მე სკოლის დაკეტვას ვცდილობ,** (ხაზგასმა ჩვენია).

საკვირველია, მშიერ კაცს ეუბნებიან—ეცადე ბოზბაში იშოვნოო! ბატონებო ჯერ პური იშოვნოს და მერე ბოზბაშზედ იფიქრებს. თუ არა, მანამ ბოზბაშს იშოვნის იმას ნაწლეები გაეწურება, თან გადაჰყვება და მერე ვეღარც ბოზბაში უშველის, ვეღარც ბოზართმა. ჩვენ ახლა ამ მშიერ კაცის მდგომარეობაში ვართ გვინდა ჯერ სამეურნეო ცოდნით კუჭი მოვიმაგროთ, მიწაზედ მაგრა ფეხი მოვიკიდოთ და მერე უნივერსიტეტის ცოდნით დავსტკბეთ, მეცნიერი კაცები შევიძინოთ. ეს რაც მე დღეს მოგახსენეთ, სკოლის დაკეტვას ნიშნავს თუ სკოლის გაღებას? ორში რომ უკეთესი ავირჩიოთ, რა გასაკვირველია? მე რომ მითხრან—სერთუკის მაგიერ ჩოხა ჩაიცვი, უფრო მოგიხდებაო, განა ეს ჩემს სიკვდილს ნიშნავს? ეს ის იქნება, რომ სხვა სახეს მივიღებ. აგრედვე იქნება სკოლის საქმეც“.

ზემო აღნიშნულ ამონაწერში საყურადღებოა სხვათა შორის შემდეგი გარემოება და ფაქტი: ილია ჭავჭავაძეს, როგორც ყოველივე ძლიერ ნებისყოფის და მახვილ გონების ღრმა მოაზროვნე ადამიანს, რასაკვირველია, ბევრი ბრმათ მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ, ამასთანავე და ამის გამო, მისი მოწინააღმდეგენი ბევრჯელ არა საკადრის საშუალებას ხმარობდნენ ხოლმე მისი გავლენის გასაქარწყლებლად.

ამგვარი ნაკლით არის გამსჭვალული თვით ნ. ჟორდანიას არა ერთი და ორი გამოლაშქრება ილიას წინააღმდეგ. აი მაგალითად რასა სწერდა ჩვენი მესამე დასელების თვალსაჩინო და დამსახურებული პუბლიცისტი—ნ. ჟორდანია.

„სათავად-აზნაურო სკოლის კომისიამ 1896 წელს საბოლოოთ უარჰყო „ივერიის“ აზრი სკოლის გადაკეთების შესახებ და გადასწყვიტა მისი გიმნაზიად გადაკეთება. ამის წინააღმდეგ ამხედრდა „ივერიის“ მეთაური, მარა ამ ჟამად არა როგორც რედაქტორი, არამედ **როგორც ბანკირი**. ხაზგასმა ჩვენია, ერთ თავის მეთაურ წერილში (№ 282 1895 წელს) ის იმუქრება, ბანკი ფულს ვერ მოგცემთ და საიდან გინდათ გიმნაზია დაიარსოთო...

აი „ივერიის“ გულმტკივნეულობა სათავად-აზნაურო სკოლაზედ! და რომ მისთვის დაეჯერებიათ, დღეს ეს სკოლა სამარის კარამდე იქნებოდა მოყვანილი“.*)

„რა თქმა უნდა, ამბობს ის, გიმნაზია რომ ჩვენი გვქონდეს კარგია, ისიც არ იქნება ცუდი, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ვქონიოთ, მაგრამ ამისთანა საქმეების ქვიშაზე აგება (ვითომ ბანკზე) უგნურება იქნება... ჩვენი უკანასკნელი დასკვნა ეს არის: ყოველ სურვილს, რაც გინდა სანატრელი იყოს, **თუ ბანკის შემოსავლის განაწილებას თხოულობს თავი უნდა დავანებოთ** (ამ ხაზ გასმას ყურადღება მიაქციეთ შემდეგისათვის. გ. მ.) დღეს ჯერ ხანათ.

თავი ვანებოთ წინასწარმეტყველობას და გავშიჯოთ ილიას ზემოაღნიშნულ მეთაურის დედა აზრი. ამისათვის, თვით ამ მეთაურიდან მოვიყვანთ ციტატებს.

მართალი ბანკი არაფერს არ დაზოგავს, რომ, თუ რამ შეძლება აქვს, არ მოეშველოს ამ საზოგადოებას. ხოლო ბანკის შეძლებასაც საზღვარი უდევს. ეს ერთი-მეორე ისა, რომ ბანკის საქმე და მისი შემოსავლის მეტ-ნაკლებობა ბევრს იმისთანა მოულოდნელ გარემოებაზეა დამოკიდებული, რომელიც ცალკე ადამიანის ხელთ არ არის და რომელთ წინად დანახვა აღემატება ადამიანისათვის მინიჭებულ უნარს და ღონესა... ამისთანა ცვალებადს ბედზე არ შეიძლება მკვიდრად დასდვეს იმისთანა მუდმივი საქმე, როგორიც სკოლაა. მესამე ისა, რომ ბანკს ამ ბოლო ხანებში ბევრი იმისთანა დარდი და საზრუნველი გაუჩნდა, რომლის გაძლოლისათვის დაყოვნება და დახანება შეუძლებელია... და ამისთანა შემთხვევანი არა ერთი და ორი კიდევ წინ აეტუზება მერმისშიაც...“ მაგრამ ილია აქ არ ჩერდება. იგი განაგრძობს და დასძენს:

„მაშ რა უნდა ვქნათ, იტყვიან, რომ სხვა გზა არ არისო. არის ერთი ორი გზა, მაგრამ იმოდენა მამულიშვილური ვაჟკაცობა არა გვაქვს, რომ გამოვიდეთ და ვსთქვათ. რატომ არ იკითხავთ: სად არის ჩვენი თავად-აზნაურობისთვის სასახელო და სადიდებელი განაჩენი, რომლითაც მათ თითქმის ერთხმად გაიწირეს სკოლისთვის ფონდის დასაარსებლად ფული?

„საზოგადოება ღარიბ მოსწავლეთა შემწეობისათვის“ რატომ უყურებს ყურს ამისთანა საქმეს, რომელიც ჩვენ საქმეს განათლებისას ასეთს უშრეტს წყაროს არსებობისას გაუჩენს?.. რად დავანებეთ ამისთანა სასახელოს და სასარგებლო საქმეს თავი და რატომ არავინ არა ვკითხულობთ: სად არის იგი განაჩენი დღეს? ვინ და რომელს ზანდუკში დამარხა იგი თაგვების საჭმელად?.. და რას ვხედავთ დღეს? ეს რვა, თუ ცხრა წელიწადია მას აქეთ და ჩვენდა სამარცხვინოდ შევუშინდით იმ საქებურს საქმეს და ეხლა დავდივართ და ვიძახით „ვითხოვოთ და ვითხოვოთ“ და თვითონ საქმე კი თაგვების საღირღნელად გავუშვით. აი ეს ერთი გზა, რომელიც საქმეს სკოლისას კარგა მოზდილ სახსარს მისცემდა არსებობისას. მერე მუდამს სახსარს, თუ კი წევრნი ხსენებულ საზოგადოებისანი ჯეროვანად და უშიშრად მოიკითხავდენ მიძინებულ საქმეს.

მეორე გზა დღეს გამოუჩნდა ხსენებულ საზოგადოებას. ეს ის არის, რომ თავად-აზნაურობას ბანკმა მიჰყიდა არწრუნისეული ქარვასლა: ეგ ქარვასლა იმოდენა შემოსავალს იძლევა, რომ თითქმის მთელის გიმნაზიის ხარჯს გასწევდა. ხოლო... რომ ამ ქარვასლის წმინდა შემოსავალი სულ სკოლაზე მიიქცეს უკლებლივ, საჭიროა ჯერ თავად-აზნაურობამ მთელი ვალი, რაც დღეს ამ ქარვასლის გამო აუღია და რაც ზედ თვით ქარვასლას აწევს, რაც შეიძლება მალე გადაიხადოს...

---

*) ქართული პრესა“ ნ. ჟორდანიასა. 1900 წ.

*) ნ. ჟორდანია „ქართული პრესა“ 1900 წ.

მინისტრ ხვოსტოვში და არც მის დანარჩენ კოლეგებში. განხეთქილების ვაშლი მათ შორის არ შემოგორებულა. ყველანი შეხმატკბილებულად მოქმედობდენ, ერთი ჰქონდათ პოლიტიკური გეზი და მიმართულება, როგორც საშინაო პოლიტიკაში, ისე ომისადმი თავიანთ დამოკიდებულობაში. ასე იყო საქვეყნოდ მაინც. ასე რომ ჩვენთვის ყოველ შემთხვევაში დაფარულია ამ აქტის პოლიტიკური სარჩული. დეპეშებიდან ვიცით, რომ ხვოსტოვის გადაყენება რაღაცნაირად დაკავშირებულია იმ ფარულ შეთქმულობის გამომჟღავნებასთან, რომელსაც უნდა მოეხდინა დიდათ გავლენიანი პირის მკვლელობა. არც უიმისობა იქნება რომ ამგვარ შეთქმულობაში პოლიტიკურ მოტივებს სათანადო ადგილი არ ჰქონდეს დათმობილი. კულისებში მკვლელობის მოხდენით ქვეყნის პოლიტიკისათვის ამა თუ იმ მიმართულების მიცემა მეტად სახიფათო მოვლენაა, რომელიც უფლებრივ ნორმების შერყევასა და ანარქიულ თვითნებობის გამეფებას მოასწავებს. და ქვეყანა, რომელიც ჩვეული არ არის ასეთ ღონისძიებასა და მოქმედებას; ამგვარი ამბებით მეტად შეძრწუნებულია და შეშფოთებული.

ხვოსტოვის პიროვნების ჩამოშორებით სამინისტროს ნირი არ შეეცვლება. ხვოსტოვის პორტფელი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, შტიურმერმა ჩაიბარა.

დეპეშები

(„საქართველო"ს საკუთარის კორესპონდენტებისაგან).

გერმანელები აღნიშნავენ, რომ ფრანგებს ვერდენთან მოუყვანიათ ოცდაშვიდი ახალი დივიზია.

—

მამახათუნის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია მესოპოტამიის კორპუსის ერთს დივიზიას ხალილბეის სარდლობით.

—

სკუტარიში მყოფი მთაშავეთის მთავრობამ: რეგენტი ბატონიშვილი მირკო, გენერალი ვუკოტიჩი და მარტინოვიჩი ავსტრიელებს დაჰნებდნენ.

—

სუმბათაშვილი-იუჟინი მაისის დასაწყისში საქართველოს საგასტროლოდ ესტუმრება.

გ. ვ.

ახალი ამბავი

ქართულ დაწესებულებებში.

◆ ღარიბ მოწაფეთა შემწე თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების საგანგებო კრების გაგრძელება დანიშნულია მარტის ათისთვის, საღამოს $7^1/_2$ საათზე, ქართულ გიმნაზიის შენობაში. კრება აირჩევს 3 რწმუნებულს „ქართველთა კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირში" მონაწილეობის მისაღებად.

◆ რედაქციამ მიიღო: ჟურნალ „განათლების" მე-2 ნომერი (თებერვლისა).

◆ პეტროგრადში, როგორც სააგენტო დეპეშა გადმოგვცემს, გამოსულა ყოველდღიური ჟურნალი „გოლოს როსსიი"—თ-დ მ. მ. ანდრონიკაშვილის გამომცემლობით. სარედაქციო წერილში ნათქვამია: „ჩვენი უახლოესი მიზანია რუსეთის სახელმწიფოებრივი ძლიერების შექმნა, რომ თავის სახელმწიფოში რუსის ხალხმა თავისუფლად და ბედნიერად იცხოვროს და ასეთივე ცხოვრება მიანიჭოს იმ ერთ, რომელნიც რუსეთის იმპერიაში სცხოვრობენ და ჩვენთან ჭირს და ლხინს იზიარებენ".

◆ დღეს, 9 მარტს, დეპუტატთა საკრებულოში საღამოს 8 საათზე მოხდება თბილისისა და დუშეთის მაზრის მეურნეთა საგანგებო კრება, საანკეტო ფურცლების საქმის მოსაწყობად და სხვა სამეურნეო საჭიროებათა განსახილველად.

ასეთივე კრება მოხდება გორში 13 მარტს.

◆ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას მოუვიდა ბალაჯარის გზით 5 ვაგონი, ხოლო ფოთით 15 ვაგონი ფქვილი. საზოგადოებას იანვრისა და თებერვლის განმავლობაში სხვა და სხვა კერძო პირთა და დაწესებულებათაგან შეწირულების სახით მიუღია 4.105 მან. 75 კაპ. ამ ჯამში არ შედის ტატიანას კომიტეტის მიერ გამოგზავნილი ფული.

◆ კვირას, 6 მარტს, დიდუბის სკოლის დარბაზში წერა-კითხვის საზოგადოების ლექციების მომწყობ სექციის თაოსნობით გაიმართა სახალხო საღამო. ქ-ნმა ჩიტო შარაშიძემ წაიკითხა ლექცია ქართულ ლიტერატურის ისტორიიდან. ლექციას დიდძალი ხალხი დაესწრო. შემდეგი ლექცია გაიმართება იქვე კვირას, 13 მარტს, საღამოს 7 საათზე.

ქალაქის გამგეობაში.

◆ თბ. ქალაქის გამგეობა დროებით ადგენს უბნის სასურსათო სამზრუნველოებს ორთავე სქესისას სრულ წლოვანთაგან. სამზრუნველო შესდგება თავმჯდომარის, მის მოადგილის და საბჭოს 6—12 წევრთაგან. სამზრუნველოს თავმჯდომარე ირჩევა ხმოსანთაგან 1 წლის ვადით ან იმ პირთაგან ვისაც არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ. სამზრუნველომ უნდა გამოარკვიოს ნორმალური ფასები ამა თუ იმ უბანში პირველ მოთხოვნილებათა საგნებზე. ამ მიზნით სამზრუნველოებს ევალებათ შეგროვება და გამორკვევა შემდეგ ცნობებისა: 1) რამდენ საქონელს პირველ მოთხოვნილობისას თხოულობს ესა თუ ის უბანი. 2) რამდენი საქონელი იშოვება უბანში. 3) შემოტანილ-გატანილ საქონლის რიცხვი ბაზარში. 4) სატრანსპორტო საშუალებანი საქონლის შემოსაზიდათ. 5) ფასები საქონლისა და 6) ბაზრის ნორმალური ფასები ამ საქონელზე.

◆ თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი შეუდგა ქალაქის მოურავის მოადგილეობას და ქალაქთა კავშირის მთავარ რწმუნებულობას.

◆ სასურსათო საქმის რწმუნებულობას ბ. ხატისოვის მაგიერ შეუდგა გამგეობის წევრი მ. ა. ჯაბარი.

◆ ქალაქის გამგეობამ თავის საწყობიდან მისცა ფქვილი სოფ. დელიჟანს, ჯელალ-ოღლის და რამდენიმე სოფელს თიანეთის მაზრისას.

◆ ქალაქის გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა გუბერნატორის წინაშე აიძულოს მიწადმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა გამგეობა ქალაქის შესაფასებელ გადასახადის გადახდაში. ამ დაწესებულებაზე დარჩენილი საქალაქო გადასახადი ჯარიმებით უდრის 44530 მან. 83 კ.

◆ ტრამვაის მოსამსახურეებმა მოთხოვნილება წარუდგინეს ქალაქის გამგეობას. მოსამსახურენი თხოულობენ, რომ ისინი სამსახურში გათანასწორებულ იქმნან ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეებთან, მოემატოთ ჯამაგირები, მიეცეთ საზაფხულო ტანთსაცმელები და სხ.

◆ ქალაქის სასანიტარო-საექიმო ინსპექტორს ბ-ნ სტეფანოვს 25 წელიწადი შეუსრულდა, რაც ის საქალაქო სამსახურში ირიცხება. ამიტომ გუშინ, 8 მარტს, მიულოცეს მას ქალაქის მოსამსახურეებმა და ყვავილები მიართვეს.

◆ გუშინ, 8 მარტს, ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 110, ხუნაგიანი 34, ყვავილიანი 1, სახადიანი 77 და სათვლიანი 16 კაცი.

ერობა და ქალაქთა კავშირი.

◆ ქალაქთა კავშირის გამგეობამ სწრაფი განკარგულება მოახდინა, მუშისა და ბითლისის რაიონებში საკვებ პუნქტების დაარსების შესახებ.

◆ განმანაწილებელ ჰოსპიტლის გამგემ განკარგულება მიიღო, გორის ჰოსპიტალში გადაყვანილ იქმნენ 230 დაჭრილი და დაავადებული ტყვე ოსმალო.

◆ ჩამოიყვანეს შორაპნიდან 5 ავადმყოფი აფიცერი და 4 ტყვე ოსმალო და სარაყამიშიდან 14 აფიცერი.

◆ სატრანსპორტო კომისიის თავმჯდომარე გ. დ. ქურულმა მოხსენება წარუდგინა კომისიას რომ საქართველოს სამხედრო გზით ეხლავ შეიძლება საქონლის შემოტანა. ბ. ქურულის აზრით მცხეთის საზოგადოებას შეუძლია გამოიყვანოს 100 ურემი, ბაზალეთისას 20 ოთხ ცხენიანი ეტლი და ქვიშეთისას 100 ერთ ცხენიანი ეტლი.

მთავრობის დაწესებულებებში.

◆ თბილისში დაბრუნდა მიწადმოქმედების დეპარტამენტის რწმუნებული კ. ი. შაშკოვსკი, რომელიც სასურსათო საქმეზე იყო წასული.

◆ საინტენდანტო გამგეობის მოძრავი გამოფენა—მუზეის დღეს მოელიან თბილისში.

◆ გუშინ წინ, 7 მარტს, კავკასიის მევენახეობის და მეღვინეობის კომიტეტში ოციოდე ქალი და კაცი შეიკრიბა შაბიამან-გოგირდის საშოვნელათ, კომიტეტმა ყველას ორდერი დაურიგა და ფრიდონოვის კანტორაში გაისტუმრა. აქ კი გამოუცხადეს—ერთი გირვანქაც არა გვაქვს—არც შაბიამანი, არც გოგირდიო. დაბარებული გვაქვს და როდის მოგვივა არ ვიცითო. გამობრუნდნენ ყველანი წელმოწყვეტილნი, არ მცოდნენი—რა მოელის ჩვენს საცოდავ ქვეყანასა?

მაჰმადიანთა შორის.

◆ გუშინ „ახალ კლუბის" დარბაზში ახალ წლის „ნავრუზ-ბაირამობა" შუადღიდან დაიწყო ზეიმი, რომლის მომწყობი მაჰმადიანთა ვაჟთა საქველმოქმედო საზოგადოება იყო. ზეიმს დიდძალი ქართული საზოგადოება და მაჰმადიანობა დაესწრო. მილოცვებმა როგორც სიტყვით ისე შეწირულებით, საღამოს 6 საათამდე გასტანა.

◆ დილიჟანში, სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარში ყოფილა მოთავსებული ლტოლვილ მაჰმადიანთა 28 ობოლი ბავშვი. ამ ჟამად ბაქოს მუსულმანთა საქველმოქმედო საზოგადოება შუამდგომლობს ქალაქთა კავშირის წინაშე, რომ ეს ბავშვები გადაყვანილ იქმნენ ხსენებულ საზოგადოების თავშესაფარში.

◆ ბაქოს მაჰმადიანთა საზოგადოების გამგეობამ შუამდგომლობა აღძრა რათა დელიჟნის სომხურ თავშესაფარიდან მაჰმადიანთა ლტოლვილნი გადმოყვანილ იქმნენ თბილისის მაჰმადიანთა საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარში.

სომეხთა შორის.

◆ ეპ. მესროფთან სადარბაზოთ იყო თბილისის გუბერნატორი ა. ნ. მანდრიკა. თავის მხრივ ეპ. მესროფმა იმავე დღევსე ინახულა გუბერნატორი.

◆ შუშელ მცხოვრებ ქ-ნ სარუხანიანისას შეუწირავს 30000 მან. სოფ. ფირჩმახში სკოლის აგება-შენახვისთვის, 15000 ადგილობრივ ეპარქიალურ სასწავლებლისთვის 15000 ადგილობრივ მარინეს სახელობის სასწავლებლისთვის და 1500 მანეთი შუშის მუსულმანთა სკოლის სასარგებლოთ.

კოოპ. და მომხ. საზოგადოებანი.

◆ კვირას 13 მარტს, შორაპნის მაზრის წვრილი კრედიტის ინსპექტორის ა. ს. ნიჟარაძის მიერ დ. ყვირილაში ადგილობრივ წვრილი კრედიტის გამგეობის შენობაში მოწვეულია შორაპნის მაზრის წვრილ კრედიტთა წარმომადგენლების კრება, შესახებ შაბიამანის, გოგირდისა, სიმინდისა და კავშირის დაარსების. აგრეთვე იქნება განხილული მორიგი საკითხები.

ქალაქის არჩევნები.

◆ შრომის ბირჟაში დღეს დანიშნულია კრება რუსის ამომრჩევლების 1 საპოლიციო უბნიდან.

◆ ერთ ჯგუფს, რომელსაც მიზნად დაუსახავს განახლება საბჭოს შემადგენლობისა 11 და 12 საპოლიციო უბნიდან დაუსახელებია ასარჩევად შემდეგი კანდიდატები: ქსავერიევი, ქობულაშვილი, ლოსკუტოვი, ჟორდანია, რამიშვილი, ლომთათიძე, ახმეტელაშვილი, ერზიკიანცი და ჩერნიშოვი.

◆ თფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა შემუშავებული საბჭოს მიერ ინსტრუქცია არჩევნების შესახებ.

ახალი საზოგადოებანი.

◆ ფოტოგრაფებმა ე. მ. სობესტიანსკიმ, ა. მ. გურკომ, კ. მ. ზანისმა, გ. მ. მუსყოვმა და ნ. ნ. ბუდაევსკიმ შუამდგომლობა აღძრეს გუბერნატორის წინაშე „კავკასიის ფოტოგრაფიულ საზოგადოების„ დაარსების შესახებ.

ვაჭართა შორის

◆ ვაჭართა მამასახლისის მოადგილის ს. გ. კაფიევის თავჯდომარეობით შესდგა ვაჭართა საზოგადოების კრება, კრებამ მოისმინა ანგარიში ვაჭართა მიერ დაარსებულ საავადმყოფოსი. როგორც ანგარიშიდანა სჩანს დღიდან დაარსებისა მიმდინარე წლის 1 იანვრამდე საავადმყოფოს შესანახად შემოსულა 60.509 მან. 8 კ. დახარჯულა 59.962 მან. 79 კ. მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა ნავარაუდევია 50 ათას მანეთამდე. კრებაზე გამოირკვა, რომ იმ დაუდევარ ვაჭართა გვარი და სახელი რომელთაც გადასახადი არ შემოაქვთ გამომჟღავნებული იყოს გაზეთებში.

ქართული ხელოვნება.

◆ კ. ფოცხვერაშვილი ამ მოკლე დროში გამართავს არტისტულ საზოგადოების საკონცერტო დარბაზსა და სახალხო სახლში საჯარო ქართულ სიტყვა-მუსიკობას.

◆ 7 მარტს სახალხო სახლში დრამატიულ საზოგადოების მსახიობებმა წარმოადგინეს შექსპირის „ოტელო". უმთავრესი როლები შეასრულეს ან. ქიქოძემ, ა. იმედაშვილმა, ვ. გუნიამ და კორიშელმა. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა. აუარებელი ხალხი მიაწყდა თეატრს.

◆ მეფე ერეკლე II-ს გასამართლება, რომელიც უნდა მომხდარიყო ქუთაისში 28 თებერვალს. გაიმართება კვირას 13 მარტს.

სურსათის საქმე.

◆ შემოიტანეს თბილისში 7 მარტს: ფქვილი 2 ვაგ., ქერი 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ლობიო 3 ვაგ. შეშა 3 ვაგ., გაუწმენდავი ნავთი 3 ვაგ., თეზაფი 2 ვაგ.

ქალ. სხვა და სხვა უბანში.

◆ მსხვილ ვაჭრის გურგენოვის თავდასხმა მოუწყვიათ სამ ბოროტ-გამზრახველთ, ღამის 10 საათზე როცა გურგენოვი მეეტლეს უსწორდებოდა თავის სახლის წინ მიხეილის პროსპექტზე № 81 და მისი მეუღლეც რომელიც თან მოჰყვა უკვე სახლში შესულა. უცნობთ რევოლვერით ხელში ფული მოუთხოვიათ. გურგენოვს ყვირილი დაუწყვია. მეეზოვეს შეუნიშნავს და სტვენა აუტეხია, სტვენაზე უცნობნი გაქცეულან. ერთი მათგანი მიხეილის პროსპექტზე შეუპყრიათ მეეზოვესა და პოლიციელს. ორი სხვა დიდ მთავრის ქუჩისკენ გაქცეულან და მეტივეებში მიმალულან. გურგენოვს სამი ჭრილობა აღმოაჩნდა სახესა და თავში და ამ ჟამად საავადმყოფოშია მოთავსებული. შეპყრობილი აღმოჩნდა სოფ. ორაგვის მცხოვრები, ქუთაისის გუბ. ერ. ბურძგლა, ყოფილი კონდუქტორი ტფილისის ტრამვაისა.

◆ პოლიციის ცნობით, 6 მარტს ღამით ჩერქეზიშვილის ქუჩაზე შეზარხოშებულ მ. კ. ჩხიკვაძეს და ფ. უ. კობეშავიძეს ლაპარაკი მოსვლიათ შოფერთან ფულის ანგარიშის გამო. ამ დროს იქ მინავალა ქართლელი გლეხი ზოსიძე ხელობით მჭედელი რომელიც შოფერს გამოსარჩლებია. კობეშავიძეს სწყენია ზოსიძის სიტყვები და ჯერ რევოლვერით დაუჭრია იგი და შემდეგ კიდევ ჯოხით უცემია. დაჭრილი გლეხი საავადმყოფოში გაუგზავნია პოლიციას.

◆ საინგილოსა და ნუხის მაზრებში მხმარი აბრეშუმის პარკის ფასმა 125 მანეთამდე აიწია.

ქუთაისი.

— როგორც ჩვენს გაზეთში იყო აღნიშნული ლ. კუპრაშვილს თავის მამულში სადგურ ხრესილიდან ხუთი ვერსის მანძილზე აღმოუჩენია ქვანახშირი. ამავე მამულში აღმოჩენილა აგრეთვე ცემენტისა და ლიტოგრაფიის ქვაც.

— ი. ქუთათელაძემ აბრეშუმის თესლი კავკასიის საბრეშუმო სადგურიდან უკვე მიიღო. აბრეშუმის თესლი დაუნაწილეს რაიონების აგრონომების „სტაროსტებს" ომში გაწვეულთა ოჯახებში დასარიგებლად. თითო ოჯახს 3 მისხალი ერგება. კარგი იქნება, ბ.ბ. სტაროსტები თესლს დაკვირვებით გაანაწილებდეს.

საგულისხმო ამბები

სამხედრო მინისტრად ნამყოფი სუხომლინოვის საქმის გამოსაძიებად განსაკუთრებული უმაღლესი კომისია დანიშნეს. გენ. სუხომლინოვს ბრალს სდებდენ სამხედრო სურსათის შეძენის საქმეში ბოროტმოქმედების ჩადენის შეკრებილი მასალა, გამომძიებელ კომისიის გადაწყვეტილებით, უნდა გადაცემოდა სახელმწიფო საბჭოს პირველ დეპარტამენტს, თუ ამის შესახებ უმაღლესი ნებართვა იქნებოდა. უმაღლეს კომისიის მოხსენებაზე მის იმპერატორობითი უმაღლესობას 1 მარტს უნებებია დაწერა: „თანახმა ვარ".

—

ობერ-პროკურორის მოხსენებები. ხელმწიფე იმპერატორის ბრძანებით საქმის უკეთესი გაშუქებისთვის სინოდის ობერ-პროკურორის მოხსენებები მის უმაღლესობის წინაშე მოხდეს სინოდის უპირველეს წევრის თანდასწრებით.

—

გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმა ქალაქ თბილისს უანდერძა 2 მილიონი მანეთი. ხოლო თავისი ისტორიული წერილები დაუტოვა თბილისის უმაღლეს სასწავლებელს. (ქ. სლ.)

მორიგი საჭიროებანი

მოახლოვდა გაზაფხული, დგება დრო სამუშაოთ გასვლისა და კვლავ ჩვენ წინ იბადება საკითხი, თუ რითი, რა ძალით და რა გზით დავამუშაოთ ვენახ-მინდორი, რის განგებით შევქმნათ წლის სარჩო და საგზალი? წელს მდგომარეობა შარშანდელზედ გაცილებით მწვავეა, შედარებაც კი არ შეიძლება. შარშან ამ დროს ძველი საგზალი მოგვიწვდა, ლუკმა გვქონდა, წელს გასულ წლისა სიმშილის მეტი არაფერი მოგვყოლია. შიმშილობამ უკვე მოიცვა ჩვენი ქვეყანა, (ლუკმას ვყიდულობთ. რამდენიმე სოფელში სარწმუნო გამოანგარიშებით შარშან ლაშქრად გასულთ რიცხვი მთელ მუშა ხელის 38 პროცენტს უდრიდა. დღეს იმავე სოფლებში იმავე გზით რომ გამოვიანგარიშოთ, ანუ მუშად რომ ყველა მამაკაცი, თექვსმეტ წლის ჭაბუკებიდან დაწყებული—სამოცდახუთი წლის მოხუცებულებით გათავებული ჩავთვალოთ—სამშობლო კერას მოშორებულია უკვე 52% საუკეთესო ძალა,

ერის მდგომარეობა და ცხოვრების პირობანი კი გაცილებით უფრო ძნელი და აუტანელი შეიქნა. დახმარება არსაიდან მოსჩანს, არ ეწყობა არც საზოგადოებრივი ორგანიზაცია და არც მთავრობისა, რომელიც ოდნავ შეამსუბუქებდეს ამ მდგომარეობას და შეავსებდეს ამ მწვავე დანაკლისს. უუფლებო, მშიერი ხალხი ისევ ბოქაულისა და ჩაფრის მეტს არავისა ხედავს თავის გარშემო. სახელმწიფო ზრუნვა მხოლოდ ფისკალურს მოღვაწეობაში გამოიხატება. ყოველგვარ თვითმოქმედებას მოკლებული, ხალხი სავსებით ვერა სარგებლობს [illegible] და შრომით, გაცხოველებული რიგ-რიგა თანამშრომლობა, კოოპერაციები მომხმარებელი თუ მწარმოებელი, რომელიც ასე გაამრავლა ჩვენმა ხალხმა შედარებით შესაფერს ნაყოფს ვერ იძლევიან, ვინაიდან ხალხის უფლებრივი მდგომარეობა მეტად ხუთავს მათ. აუცილებლივ საჭიროა უფრო ფართო პირობანი თვითმოქმედებისათვის. ერობა მოკლებულმა ხალხმა უაღრესი საერობო შრომა და ინიციატივა გამოიჩინა, მაგრამ რა ჰქნას, რომ საერთო პირობანი ხელს უბორკავენ. ყოველგვარი დასამუშავებელი წამლისა და იარაღის წარმოუდგენელმა გაძვირებამ და შიგა და შიგ მომხდარმა საქონლის მობილიზაციამ ხომ აუტანელი გახადა ჩვენი მეურნეობა.

ასეთ პირობებში ყოველივე ეჭვს გარეშეა, თუ რა განსაკუთრებული ზომების მიღება და არა ჩვეულებრივი მუშაობა გვმართებს. საჭიროა შემოვიკრიბოთ და გამოვიყენოთ, თუ სადმე მოუხმარებელი ძალა მოგვეპოვება, საჭიროა სამუშაო ძალის დახარჯვაში მეტი წესი და ეკონომია შევიტანოთ, საჭიროა მოვაწყოთ შესაფერი ორგანიზაციები და აუცილებელი დახმარებაც ვითხოვოთ საცა ჯერ არს. ყველაფერ ამაზედ ფიქრი და ზრუნვა დროზედა გვმართებს, რომ ქვეყანას ომზე უსასტიკესი შიმშილობის და წახდენის ალი არ მოედოს.

თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა სადეპუტატო საკრებულოს გადაწყვეტილება, შეჰკრიფოს ცნობები და დაეხმაროს მეურნეთ, უეჭველია ერთი პირველი და გონიერი ნაბიჯია ასეთ საქმიანობისაკენ მიმართული, მას ჩვენ, ფართო საზოგადოებაც უნდა მივყვეთ და დავირაზმოთ უბედურობის თავიდან ასაცდენად. ნუ დავეჭვდებით, რომ საქმე წოდებრივ ორგანიზაციის გარშემო იწყება და თავად-აზნაურობაც უპირველესად ამ წოდების მეურნეობის გამოკვლევასა და შველას შეუდგება. მაგრამ განა ერთი და ორი დიდი საქმე გვახსოვს, რომელიც ამ გზითვე დაწყობილიყოს და ნამდვილი უაღრესი ეროვნული სარგებლობა მოეტანოს? რა ვუყოთ რომ ჩვენს უუფლებო ცხოვრებაში საკრებულოს ერთგვარი საერობო მისსია დაეკისრა. ქონებასა და ლეგალ დაწესებულებებს (ქალაქის თვითმართველობა, ერობა) მოკლებულ ქვეყანაში, ქონებამ და ლეგალობამ დეპუტატთა საკრებულოს ეს უპირატესობა მისცა. დღესაც უნდა შემოვიკრიბნეთ და საქმე გავაეროვნულოთ. მდგომარეობის გამოკვლევის და მუშა ხელის რეგისტრაციის შემდეგ უპირველესად ყოვლისა შრომის გონიერი გაწესიერება უნდა მოხდეს. ჩვენ ქვეყანაში სხვა დ სხვა დროს შემოდის მოსავალი. ბარში თოხნისა დ თიბვის დროს მთაში მუშა მოცლილი არის და სამუშაოს საძებნელად მან ძაუვისაკენ კი არ უნდა ჰქნას პირი, არამედ აქეთ, დაღმისაკენ. და ასე ყველა კუთხეში უნდა მოხდეს შეცვლა, ასე ვთქვათ, საქვეყნო რიგრიგა. ამისათვის ორგანიზაციაა საჭირო და ამ ორგანიზაციის შექმნას საკრებულო გვპირდება.

მეორე საქმეა ამუშავება ჯერ ახალი, დღემდის გამოუყენებელი, ან ნაკლებად გამოყენებული ძალისა. ეს არის ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის სამუშაო ძალად გამოყენება. შარშან რუსეთში „მოწაფეთა დრუჟინებმა" დიდი სიყვარული დაიმსახურეს ხალხისა მართლა ნაყოფიერი შემწეობისა და დახმარებისათვის. ნაწილი ჩვენი მოწაფეებისა ისედაც მუშაობს. იგი სოფლის შვილია და პირნათლადაც ასრულებს ამ სოფლის შვილობას. საამო სანახავია ჩვენი ქართული გიმნაზიის შეგირდები, როდესაც ისინი სოფლად გაჭრილნი ყანებში გულგაღეღილნი მუშაობენ. მაგრამ ამას ნახევარზე ნაკლები თუ მისდევს, ხოლო უმეტესობა ქალაქში თუ საგარაკო ადგილებში ან თუ ისევ იმავ სოფლებში „საარტისტო გასტროლებში" ატარებს დროს. ქალაქში დროს გატარებაზე უნდა ხელი ავიღოთ, ამის დრო არ არის, ხოლო საგასტროლო სეირნობას აზრი არ აქვს, რადგან „გასტროლებს" მაყურებელნი აღარა ჰყავთ: ზოგი „წავიდა", ზოგიც მიწას ჩასცქერის და მისთვის აღარა სცალიან. ყველა ამაზე უნდა უარი ვთქვათ. ამას გვავალებს ჩვენი ქვეყნის აწინდელი მდგომარეობა. ექსკურსიები, რომელსაც ჩვენი სემინარიელები აპირობენ ჩვენი სამშობლოს გასაცნობად, უგონივრესი და უკარგესი რამ გახლავთ, ისეთი რამ, რომელიც უდროვოდ თითქმის არას დროს არ ჩაითვლება, მაგრამ ველურ აზრად ნუ ჩამომართმევთ, იგი დღეს სწორედ უდროვო არის. დღეს ჩვენი

ნუ დავივიწყებთ, რომ წინ კიდევ ერთი დიდი საქმე გვიდევს. **ქალების განათლების საქმეც ჩვენი ვალია და ჩვენი თავსაცემელი** (ამას თურმე „ბანკირი" იძახის გ. მ.) ამას შველა სჭირია, აქაც უნდა როგორმე გზა მივცეთ კმაყოფილების ჩვენს უსაჭიროესს მოთხოვნილებას...

და თუ ქარვასლის შემოსავალს ზედ დაერთვის შემოსავალი ამ ფონდისა, რომლის დაარსება თავად-აზნაურობამ დიდი ხანია მოიწადინა და რომელიც ზევით მოვიხსენიეთ, მაშინ ხომ ჩვენს ბედს მყეფარიც ვერ დაჰყეფავს.

ჩვენი უკანასკნელი დასკვნა ეს არის: ყოველ სურვილის, რაც გინდა სანატრელი იყოს, თუ ბანკის შემოსავლის განაწილებას თხოულობს. თავი დავანებოთ დღეს ჯერ ხანად. ყოველივე, რაც დღევანდელ ხარჯს სკოლისას ისე, როგორც დღეს სკოლაა, გადარჩება, მივაქციოთ იმას, რომ ქარვასლა განვუთავისუფლოთ თავად-აზნაურობას ვალებისაგან და მით გავუჩინოთ სკოლას მკვიდრი, შეურყეველი საფუძველი ცხოვრებისა: გარდა ამისა ვიშუამდგომლოთ ვისთანაც ჯერ არს, რომ ზემოხსენებულს განაჩენს თავად-აზნაურობის შესახებ სკოლის ფონდისა თავის ჯეროვანი გზა მეცეს. იქნება ღმერთმა გვიბრალოს და ამ სახელოვან საქმეს თავად-აზნაურობისას სასურველი ბოლო მიენიჭოს, თორემ ასე უკან მიგდება ამ საქმისა არა გვგონია საკადრისი იყოს თვითონ თავად-აზნაურობისათვის".

მგონი რომ კომენტარიები აქ საჭირო აღარ არის. ყოველივე მიუდგომელი მკითხველი ამ მეთაურის ამონაწერითაც კი დარწმუნდება, რომ აქ „უგულმტკივნელო ბანკირი" კი არ ვულაპარაკება, არამედ საქმეში ღრმად ჩახედული, შორს მჭვრეტელი და მასთანავე გამბედავი ჭირისუფალი მშობელ ქვეყნისაა. ბ-ნ ნ. ჟორდანიას კი, არა საკადრისად, ამოუგლეჯია მხოლოდ რამოდენიმე სტრიქონი მეთაურიდან, რომელსაც გაზეთის თითქმის მთელი გვერდი უჭირავს. არა საკადრისად მიგვაჩნია ისიც, რომ ბ-ნ ნ. ჟორდანიას ხაზგასმით მოჰყავს ილიას მეთაურიდან ამონაგლეჯ ციტატის ზოგიერთი სიტყვები და ამასთანავე არ აღნიშნავს, რომ ეს ხაზგასმა ეკუთვნის მას და არა თვით ავტორს.

სხვისი წერილებისა და აზრების ამგვარად დამახინჯების შემდეგ, ბატონი ნ. ჟორდანია რიხიანად გაიძახის:

მუქარა „ივერიისა" დარჩა მუქარათ, სკოლა გადაკეთდა სრულ გიმნაზიათ, ბანკი ფულსაც ყოველ წლივ იძლევა და საცაა საკუთარი შენობაც ექნება. და ეს ყველა წინააღმდეგ „ივერიის" ხანგრძლივ ქადაგებისა და მუქარისა! აი რა ახირებული მოღვაწენი გახლავან „ივერიელნი". ყველაფერი კეთდება წინააღმდეგ მათი სურვილისა და ბოლოს მაინც ისინი ჩემობენ, ჩვენ ვმუშაობთო".

მართლაც და—აქ რაღაცა ახირებულობაა... მხოლოდ მისი?? ამას ჩვენ შემდგომ დავინახავთ.

ცოტა არ იყოს, ჩვენ აქ ავცდით ჩვენი წერილის მიმდინარეობას და შევეხეთ „ივერიელთა" წინააღმდეგ, მესამე დასელების უსაფუძვლო გამოლაშქრებას, მაგრამ ჩვენ ეს საჭიროდაც მიგვაჩნია, ვინაიდან ყველა ამ უნებლიეთ და ნებლიეთ შეცოდებანის და ჩვენ დასელების ულოღიკობის აღნიშვნა ნათელს მოჰფენს და გაგვიადვილებს შემდეგის საყურადღებო და საჭირო საკითხის გამორკვევას.

გ. მამრაძე.

ქვეყნის უნუგეშო ყოფა ქუდზე კაცს მოითხოვს და ქუდზე კაცმა ის უნდა გააკეთოს, რაც ქვეყნისათვის პირველი და მიუცილებელი საჭიროებაა.

დაე, ჩვენმა ახალგაზდობამ მკლავები გირების და ტურნიკის მაგიერ ძნის მიწოდებით, ქცევით და თიბვით ივარჯიშოს.

ხალხთან და ბუნებასთან ყოფნა მშვენიერი და საუკეთესო სკოლა იქნება ამ „უსკოლო“ ხანაში ჩვენი ახალგაზდობისათვის. იქ შეითვისებს ხალხის პსიხოლოგიას, იქ მიიღებს იმას, რასაც „სიყრმის პოეზია“ ერქმის და რომელსაც ასე მოკლებულია ჩვენი ახალგაზდობა. ეს დახარჯულ შრომის შესაფერი და ღირსეული ჯილდო იქნება. ეს და ბევრი რამ სხვა აუცილებლივ უნდა ვითავოთ, რათა ტანჯვა ოდნავ შევიმსუბუქოთ.

შ. ქ—ძე.

სახელმწიფო სათათბირო

7 მარტის სხდომა

როძიანკო თავმჯდომარეობს. $11\frac{1}{2}$ საათზედ იწყება ფარული კრება, რომელიც $4\frac{1}{2}$ საათზედ თავდება. მერე ხალხის დასწრებით შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვას იხილავენ.

ნოვიცკი. უსაყვედურებს სათათბიროს პროგრესიულ ბლოკის წევრებს, რომ ისინი ამხედრებულნი იყვნენ შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ, მაშინ, როდესაც იგი სათათბიროსთან მეგობრულ განწყობილებაში იყოვო. ორატორი უკიჟინებს პროგრესიულ პრესასაც და ცალმხრივობას და ცბიერობას სწამებს. მას უპასუხებენ სტარდიჩანოვი, გრაფი კაპნისტი და ალექსანდროვი. კრება დასრულდა 6 ს. შემდეგი სხდომა 8 მარტს.

სახელმწიფო საბჭო

7 მარტი.

თავმჯდომარეობს **კულომზინი.** განაგრძობენ შემოსავლის კვალობაზე გადასახადის კანონ-პროექტის განხილვას. ლებულობენ 78—115 მუხლს. შემდეგი კრება 10 მარტს.

ქალაქის საბჭო

7 მარტი.

კრება დაიწყო გამგეობის წევრის ა. მ. არღუთინსკის თავმჯდომარეობით. გადასაწყვეტი იყო გამგეობის მოხსენება შესახებ მიმდინარე წლის ხვედრი ფულის მიცემისა ბელგიის უსახელო სატრამვაიო საზოგადოებისათვის ტრამვაის ღირებულობის ანგარიშში. გამგეობის წინადადებით საბჭომ გადასდო ამ საგნისათვის 77,380 მან. 85 კაპ.

საბჭოს სხდომა დაიხურა და გაიხსნა შეერთებული კრება გამგეობისა, საბიუჯეტო-საფინანსო, იურიდიული, ტეხნიკური და სარევიზიო კომისიებისა. განსახილველი იყო მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა ტრამვაისა. გამგეობის ანგარიშით შემოსავალი ნავარაუდევია 2.066.377 მან., გასავალი 1.626.044 მან., წმინდა მოგება უნდა დარჩეს 440.333. მანეთი. წინანდელ წელთან შედარებით 1915 წელს ტრამვაის 26% ზედ მეტი წმინდა მოგება მიუცია პატრონისათვის, წლეულს კი გამგეობას 10%-ით ზედ მეტი აქვს ნავარაუდევი წმინდა მოგება.

ხმოსნები რამდენიმე ბანკად გაიყვენ ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ. ხუნუნცი, ი. მ. დოლუხანოვი, ა. ს. ბაბოვი და სხვ. ამტკიცებდნენ, ხარჯთ-აღრიცხვა უკამათოდ უნდა მიიღოს შეერთებულმა კრებამო; ანტონოვი, ს. გ. მაზმანოვი და სხვანი ამტკიცებდნენ, ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა უნდა გადაიდვას საბჭოს განახლებამდეო და თავიანთ წინადადებას შემდეგი მოსაზრებით ასაბუთებდნენ:

ა) ხარჯთ-აღრიცხვა ეხლა დაურიგეს ხმოსნებს და ჯერ ვერ მოასწრეს მისი შესწავლა, ბ) ხარჯთ-აღრიცხვაც თუ დამტკიცდა ეხლავე უნდა შესდგეს მთელი შტატი ტრამვაის ადმინისტრაციისა და ეს უხერხულია, რადგან ამ ორ თვეში ქალაქს ახალი პატრონები ეყოლებაო და გ) ხარჯთ-აღრიცხვაში აღნუსხული არ არის ინვენტარი ტრამვაისა და ეს დიდი ნაკლი უნდა გასწორდეს, დ) ზოგნი ხმ. პარ. გოგუას მეთაურობით, ამტკიცებდნენ, რადგან ტრამვაი ქალაქის ხელში გადმოვიდა, მისი წარმოება უხარჯაღრიცხოდ შეუძლებელია, მაგრამ ასეთ მრავალ რიცხოვან კრებაზე ხარჯთ-აღრიცხვის შესწავლა ძნელია და ამიტომ წინასწარ განსახილველად ცალკე კომისიას მივანდოთო.

უკანასკნელი წინადადება მიიღეს და ხარჯთ-აღრიცხვა გადაეცა წინასწარ განსახილველად საფინანსო, სატრამვაიო და ტეხნიკურ კომისიებს.

ბედნიერი დღე

(წერილი ბათომიდან)

3 და 4 მარტს საქველმოქმედო საზოგადოების სკოლის მასწავლებლებმა უკვე მოიყარეს თავი ბათომში. საზოგადოების სკოლების მომწყობთ ბ. ბ. არ. წითლიძესა და იერ. გულისაშვილს საქვ. საზ. ბათომის განყოფილების დახმარებით გადაეწყვიტა 4 მარტს „ჯუმა“ დღეს (პარასკევს) გაეხსნათ სკოლა სოფ. **ყოროლის თავში.** სხვა საპატიო სტუმართა შორის სკოლის გახსნაზე მიიწვიეს საზოგადოების ყველა მასწავლებელი (10 ქალ-ვაჟი) დილის 12 საათზე ბათოჰიდან ეტლით გავემგზავრეთ ხსენებულ სოფლისაკენ. მშვენიერი ამინდია, ზღვა მიწყნარებულა, ხეხილი თეთრად არის გადაპენტილი და არე-მარეს სურნელებას ჰფენს, ფუტკრები გამალებით მუშაობენ. თბილისელი ქალები (მასწავლებლები) ბუნებას შეჰხარიან, ღღურტულებენ, ეტლს აჩერებენ. ყვავილებს ჰკრეფენ. ყოროლის თავი ბათომს 8 ვერსით არის დაშორებული, ორ გორას შორის არის მთის კალთებზე შეფარებული და კეკლუცად გამოიყურება. იმავე სოფლის კალთებზე უცხოელებს ჩაის პლანტაციები გაუშენებიათ. სოფლის ძირში მეჩეთია, რომელიც დღეს, ჯუმა დღეს, მლოცველებით არის სავსე.

ავედით სკოლისათვის დაქირავებულ შენობაში. აქ არ. წითლიძეს სტუმართა დასახვედრ თადარიგში ეშველებიან ადგილობრივი მცხოვრებნი, სხვათა შორის ერთ ახალგაზრდა მომავალ ხოჯას და ამავე სოფლის შვილს ქუთაისის სამეურნეო სკოლაში კურს დამთავრებულ ახალგაზდა ფაღავას თავის ზურგით მოაქვთ მაგიდები და სკამები. ორ საათზე ბათომიდან მობძანდნენ: მესამე რაიონის სახალხო სკოლების ინსპექტორი ბ. პეტროვი, საერობო აგრონომი გ. ს. გამხარაშვილი, საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობის წევრი (განყოფილების) ექიმი გრ. ლ. ელიავა, ბათომის მუდერისი (ხოჯათ მთავარი) ხასან-ეფენდი, რომელსაც თან მოჰყვენ ადგილობრივ, მუსულმანები. იყვნენ აგრეთვე ბათომის სკოლის მასწავლებლები და სხ. მუდერისმა კურთხევის წესი შეასრულა არაბულ ენაზე, რომელიც გულის ყურით მოისმინა ყველამ. თითოეული წინადადების შემდეგ დამსწრე მუსლიმანობა ხმა მაღლა დასძენდა მწყობრ „ამინ“-ს.

ყველაფერი ჩვენთვის ეს ახალია, ცნობის მოყვარეობა გვიტაცებს, სულ განაბული მოწიწებით ვისმენთ. ლოცვის დასრულების შემდეგ ფრიად გრძნობიერი და შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა მუდერისმა. მან დიდი ბოდიში მოიხადა, რომ როგორც საზღვარ გარეთ გაზრდილმა ქართული ენა, ეს მისი და ყველა ქართველი მაჰმადიანის დედა ენა, კარგად არ იცის. აღნიშნა, რომ ამ საშინელმა ომმა მათ თვალი აუხილა და აცნობა მისი ერთ სისხლ და ერთ ხორცი ძმები ქართველი ქრისტიანები, რომელთაც მათ გადასარჩენად არაფერი დაზოგეს. დიდი მადლობით მოიხსენა ქართული საქ. საზ. და მოუწოდა შეკრებილ მცხოვრებთ სრულის ნდობით მოჰპყრობოდნენ ახლად გახსნილ მათ „გამანათლებელ“ სკოლას. სიტყვის ბოლოს კიდევ მადლობა შესწირა მთელ ქართველ საზოგადოებას და ასე გრძნობით დააბოლოვა: **„ოქროს ენით და ვერცხლის გულით** გწირავთ მადლობას და რასაც ჩვენ ვერ გეტყვით და ჩვენის სიბეჩით ვერ მივხვდებით იმის მადლობას გეტყვიან ჩვენი შვილები თქვენ მიერ გამოზრდილები“. მუდერისის სიტყვამ ზოგი ავაცრემლა. მეორე სიტყვა წარმოსთქვა ბ-მა იერ. დ. გულისაშვილმა, რომელშიც შეეხო სკოლის მნიშვნელობას და ჩვენს ერთი მეორესთან კავშირის გამტკიცების მნიშვნელობას. შემდეგ სიტყვები წარმოსთქვეს ჰაიდარ-ბეგ აბაშიძემ, ივ. კ—ძემ (გურიის მასწავლებელთა სახელით მიულოცა), არსენ წითლიძემ, ახლად განწესებულმა მასწავლებელმა ქალმა ქ. ელენე ციცქიშვილმა. ყველა სიტყვა გრძნობიერი იყო და დამსწრეები ორატორებს ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ. მაგრამ ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა ოფიციალური პირის სახალხო სკოლების ინსპექტორ პეტროვის ლამაზმა, გრძნობიერმა და შინაარსიანმა სიტყვამ. წარმოიდგინეთ მან სავსებით დაჰგმო მისი წინა-მოადგილის ცნობილი ტერ-გასპარიანცის პოლიტიკა. ხაზი გაუსვა, რომ საქველმოქმედო საზოგადოების მეოხებით ქართველი მაჰმადიანები ეღირსებიან შვილებს სწავლა მიაღებინონ **მათ სამშობლო ქართულ ენაზე, რასაც მოითხოვს პედაგოგიური სადი პრინციპი.** შემდეგ ბ. პეტროვი მიუბრუნდა ახლად დანიშნულ მასწავლებლებს, მიმართა გრძნობიერი სიტყვით და უსურვა მათ გაემართლებინოს საზოგადოებისა და მცხოვრებთა იმედები.

ბ. ინსპექტორის სიტყვას მქუხარე ტაშის ცემით შეეგებენ მასწავლებლები და ერთმა მასწავლებელმა ბ. ნ. ქამუშაძემ პეტროვის სიტყვა გადაუთარგმნა ქართველ მუსულმანებს. შემდეგ უბრალო მაგრამ გრძნობიერი სამადლობელი სიტყვა წარმოსთქვა სულეიმან ბეგ-ბიბინ-ზადემ, ამის შემდეგ მასწავლებელმა ქალებმა დიასახლისობა გასწიეს და სადილო სუფრა გაშალეს. სუფრაზედაც კვლავ წარმოითქვა გრძნობიერი სიტყვები. ინსპექტორის სადღეგრძელოზე აპ. წულაძემ ბ-ნ პეტროვს მოაგონა, თუ როგორ სდევნიდა აჭარა-ქობულეთში მისი წინა მოადგილე გასპარიანცი ქართულ ენას და რა შედეგი მოჰყვა ასეთ უკუღმართ პოლიტიკას. მან აღნიშნა, რომ იმ სკოლებში სადაც ქართველი მასწავლებლები იყვნენ და მოწაფეებს „კონტრაბანდათ“ ქართულს ასწავლიდნენ იქ მოწაფეთა რიცხვი 60-ზე მეტი იყო, ხოლო სადაც ქართულს სდევნიდნენ იქ სკოლა ცარიელი იყო ხოლმე. და ბოლოს ბ. წულაძემ უსურვა ბ. ინსპექტორს რათა მას ემოქმედოს „ზეიდან უბრძანებლად და ქვეითად უჯაშუშოდ“. *) ამ შენიშვნამ სიცილი გამოიწვია. მასწავლებელმა ნ. ქამუშაძემ ინსპექტორს მოაგონა ქობულეთის სამკითხველოს გაჩხრეკა და სთქვა, რომ მას ეს არ სჯერა, და ის როგორც პრესის („სახალხოს“) წარმომადგენელი უარყოფს, რომ ბ-ნ ინსპექტორისათვის დაუმსახურებელი ცილი დაუწამებიათ. ამ შენიშვნით ნაწყენმა პეტროვმა შენიშნა ბ. ქამუშაძეს, რომ ის შურს ძიობს პირადულ ნიადაგზე.. ამ არა სასიამოვნო შენიშვნამ ცოტა ხნით უსიამოვნება ჩამოაგდო, მაგრამ შემდეგმა ორატორებმა და სიმღერამ ნადიმზე მსხდომნი ისევ გაამხიარულა. სადილზედაც ბ. ინსპექტორმა თავის სიტყვაში აღმიშნა, რომ ჰანებში ქართული ენა, ეს მათი მშობლიური ენა შეუნახავთ ქალებსო, ამიტომ ურჩია ქართველ მუსულმანებს აღეზარდათ ქალები, რადგან ქალი ბურჯია ოჯახისა და ეროვნებისო.

სიტყვა წარმოსთქვა აგრ. გ, ს. გამხარაშვილმა, რომელმაც ურჩია ქართველ მუსულმანებს ხელი მიეყოთ მეურნეობისათვის, გამოეზარდათ თავიანთი შვილები, რომლებიც მათ ეკონომიურ-კულტურულ ცხოვრებას უკეთ წასწევენ წინ, ვიდრე გარეშე პირები. ილაპარაკეს აგრეთვე ბ. მიხ. ჯიბლაძემ, არ. წითლიძემ, აპ. წულაძემ და სხვებმა.

ქართველი მუსულმანები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ და აღუთქვეს მასწავლებლებს, რომ ისინი ყოველივე ღონისძიებით ეცდებიან ხელი შეუწყონ სკოლის წარმატებას. საღამოს ჟამს დიდათ ნასიამოვნები დავბრუნდით ბათომში.

ა—ნ წ—ძე.

ხმა ქართლ-კახეთის სახალხო მასწავლებლებისადმი

ვინ არ იცის, რომ თვითეული ერის ბედი დამოკიდებულია მის მომავალ თაობაზე, ახალგაზდობის ჭეშმარიტ სწავლა-აღზრდაზე; თუ მომავალი თაობა არ აღიზარდა მკვიდრ ნიადაგზე, ქვეყნისათვის იგი სრულიად გამოუსადეგარი და დაკარგული იქნება და ქვეყანაც ნელ-ნელა გადაგვარების გზას დაადგება. ადამიანის პიროვნების შესაქმნელად ყველაზე დიდი მნიშვნელობა პირველ-დაწყებით სწავლა-აღზრდას აქვს, რომელიც იწყება და თავდება ოჯახში და სახალხო სკოლაში; მაგრამ სამწუხაროდ, ვერც დღევანდელი ჩვენი ოჯახი, ვერც თანამედროვე სკოლა ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას: დღიურ ჭირ-ვარამში ჩაბმულ გლეხს აბა სადა აქვს დრო ან ცოდნა თავისი შვილის ნამდვილ ოჯახურ აღზრდაზე იზრუნოს; ჩვენი ნახევრად გადაგვარებული ინტელიგენცია კი თავს არ იცხლებს ოჯახიდანვე შეუდგეს თავის შვილის ჭეშმარიტ აღზრდას; შვილების ოჯახურ აღზრდას იგი ნაქირავებ „ნიანკებს“ ანდობს. რაც შეეხება ჩვენში არსებულ პირველ-დაწყებით სკოლას, ისიც ვერ ახერხებს კეთილნაყოფიერ მუშაობას; ამის მიზეზი ერთის მხრივ სწავლა-აღზრდის სათავეში მყოფი „მამების“ პოლიტიკანობაა: სკოლებიდან დედა-ენის სისტემატიურად დევნა; დღემდე ვერ შეიგნეს ის ანბანური პედაგოგიური ჭეშმარიტება, რომ შეუძლებელია პირველ-დაწყებითი ცოდნის მტკიცედ შეთვისება, თუ მას ფუძედ არ დაედო სამშობლო, დედა-ენა. მეორე მხრივ კი ისევ ჩვენი სახალხო მასწავლებლები; სახალხო მასწავლებლის უმეტესობა რომ მოუმზადებელია თავის მძიმე მოვალეობის აღსასრულებლად, ამას დღემდი მტკიცება არ სჭირია. ამის შესახებ არა ერთხელ გაგვიგონია საყვედური, არა ერთხელ თქმულა და დაწერილა, მაგრამ თქმას რა მნიშვნელობა აქვს თუ ნათქვამი არ განხორციელდა, სიტყვა საქმედ არ გადაიქცა. მასწავლებლის უნაყოფო მუშაობაში თვით საზოგადოებასაც მიუძღვის რამოდენიმე ბრალი: მასწავლებელი მოკლებულია საზოგადოების ყურადღებას, თანაგრძნობას; ის მიაჩნიათ დაბეჩავებულ პიროვნებად, დაბალ ლობედ; ჯეროვნად არ ფასდება ამ სოფლის ჩუმი მუშაკის მოღვაწეობა. დღესაც ბევრს აქვს ჩვენში სოფლის მასწავლებლებზე ისეთივე შეხედულება, როგორიც ვაჟა-ფშაველას გმირ-თამადას: „შენც იცოცხლე უჩიტელო“... თვით გლეხებსაც მასწავლებელი უბრალო „პატარა ნასწავლ“ კაცად მიაჩნიათ, რადგანაც გლეხი დარწმუნებულია, რომ „დიდი ნასწავლი“ ინტელიგენტი სოფელში არ იმუშავებს, გლეხებში არ იცხოვრებს. რასაკვირველია ასეთი შეხედულება ბევრ მასწავლებელს გაუტეხს გულს, რადგანაც თვითონაც არ არიან დარწმუნებულნი ნაკისრ მოვალეობის მაღალ ღირებულებაში. ვინ უნდა აღიმაღლოს ხმა თავისი პიროვნებისა და უფლებების დასაცავად, ვინ უნდა გასცეს პასუხი ჩვენ სკოლებში გამეფებულ უკუღმართობას, თუ არა ისევ სახალხო მასწავლებლებმა? მაგრამ სახალხო მასწავლებლების ხმა, მისი გამოძახილი დღემდე სუსტი იყო, მკრთალი. ან რა ხმა და მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მასწავლებლების შეუკავშირებელ ძალებს... მასწავლებლებმა ჩვენში დიდხანს ვერ მოახერხეს კავშირების დაარსება, ბოლოს როგორც იქნება დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლებმა შეიგნეს კავშირის და ერთობის ძალა, სძლიეს ყოველგვარ დაბრკოლებას და შარშან, დეკემბერში ჩაუყარეს საძირკველი ურთიერთ შორის კავშირებს... ქუთაისის გუბერნიის სახალხო მუშაკნი შეერთდნენ, შეკავშირდნენ. დარწმუნებული უნდა ვიყვნეთ ამიერიდან მაგრე რიგად ვერავინ აიგდებს აბუჩად დასავლეთ საქართველოს სახალხო მასწავლებლებს, შეერთებული მასწავლებლების ძლიერი ხმა ამის ნებას არავის მისცემს, იმედი უნდა ვიქონიოთ აგრეთვე, რომ მასწავლებლები შეერთებულის ძალით შეიმუშავებენ ჩვენი სკოლებისათვის საჭირო ჭეშმარიტ პედაგოგიურ პრინციპებს, ლაგამს აუდებენ თავ ახსნილ მოხელეებს და სხვა. რას აკეთებენ ამ დროს აღმოსავლეთ საქართველოს, ქართლ-კახეთის მასწავლებლები, გადადგეს მათ წინ, შეერთება—შეკავშირებისაკენ მცირეოდენი ნაბიჯი მაინც? სამწუხაროდ, არა! საზოგადოდ, არ შეგვიძლია არ შევნიშნოთ, რომ ქართლ-კახეთის მასწავლებლებს უმოქმედობა ეტყობათ, საკმაოდ ჩამორჩენილნი არიან დასავლეთ საქართველოს მასწავლებლებიდან შედარებით... მათი არსებობა სალთას ძალს შეუპყრია, მათი ხმა არ ისმის, მიდუმებულია... ხშირად შეხვდებით დასავლეთ საქართველოს სახალხო სკოლების ცხოვრებიდან გაზეთში მოთავსებულ წერილებს, რომლებშიც აღნიშნავენ სკოლაში გამეფებულ უკუღმართობას, ჰგმობენ და ჰკიცხავენ უკუღმართობის ჩამდენთ და სხვა, ქართლ-კახეთის სახალხო სკოლების ცხოვრებიდან თითქმის სულაც არას სწერენ. ნუ თუ ქართლ-კახეთის სკოლებში არაფერი ხდება დასაგმობი, ანტიპედაგოგიური? განა ქართლ-კახეთშიდაც არ „მოღვაწეობენ“ „პეტროვ-გასპარიანცის“ მგზავსი მოხელენი? განა ქართლ-კახეთის სკოლებშიაც ფეხ ქვეშ გათელილი არ არის 1881 წ. სასწავლო გეგმა, ქართლ-კახეთის მასწავლებლებს კი არ ეგდებენ აბუჩად? როგორ არა, ხდება უკუღმართობა ქართლ-კახეთის სკოლებშიაც და იქნებ მეტიც, ვიდრე დასავლეთ საქართველოში, მაგრამ ამის შესახებ მაინც არაფერს სწერენ, არას ამბობენ... მასწავლებლები დაქსაქსულნი არიან, განცალკევებულნი, თვითეული მათგანი მუშაობს და მოქმედობს ისე როგორც თვითონ ესმის, როგორც მოეპრიანება; ყველაფერს დასასრული აქვს.

დროა ქართლ-კახეთის სახალხო მასწავლებლებმაც გამოიღვიძონ, მიბაძონ დასავლეთ საქართველოს მასწავლებლებს, საჭიროა მათაც შექმნან მტკიცე ორგანიზაცია და რაციონალად უხელმძღვანელონ ერის მომავალ თაობის სულიერ აღზრდას... მხოლოდ ორგანიზაციულად მტკიცედ შეერთებულნი, შეკავშირებულნი სახალხო მასწავლებლები შესძლებენ სკოლის ეროვნული სულის დაცვას და გამტკიცებას; ამისათვის საჭიროა ქართლ-კახეთის მასწავლებლები ეხლავე შეუდგნენ კავშირების დაარსების საქმეს. უნდა გაიცნონ ქუთაისის გუბერნიის მასწავლებლების კავშირის წესდება, მუხლობრივ განიხილონ ის, თუ საჭირო იქნება შეიტანონ წესდებაში საჭირო ცვლილება და სხვა. ეხლავ უნდა შეუდგნენ კავშირისათვის ნიადაგის მომზადებას; საჭიროა ამ საქმისათვის ინიციატორები, ხელმძღვანელები; მე მგონია ეს საქმე აქაც ქალაქის სკოლების მასწავლებლებმა უნდა ითავონ; ჯერ-ჯერობით უნდა დაიწყონ რაიონული მუშაობა: თვითეული ქალაქის ახლოს მდებარე სოფლის მასწავლებლებმა უნდა შეადგინონ რაიონი, მაგ. გორის რაიონი, თფილისის, თელავის, სიღნაღის და სხვა; უნდა შეუდგნენ მუშაობას და მოუმზადონ ნიადაგი კავშირებს. ზაფხულის არდადეგზე კი, როცა ნიადაგი მზად იქნება, მოწვეულ უნდა იქმნას ქართლ-კახეთის მასწავლებელთა ყრილობა, რომელზედაც საბოლოოდ უნდა ჩაეყაროს საძირკველი ამ კეთილ საქმეს. ნებართვის აღებისათვისაც დროზე უნდა შეუდგნენ ზრუნვას; დარწმუნებული ვარ, ამ საქმეში მათ, თუ საჭირო იქნება, ქუთაისის გუბერნიის სახალხო მასწავლებლების კავშირებიც დაეხმარებიან. საბოლოვოდ კი უნდა დამყარდეს **სრულიად საქართველოს სახალხო მასწავლებელთა კავშირები...** დროზე უნდა შეუდგნენ საქმეს, დაყოვნება საქმეს ავნებს. მჯერა, რომ ჩემი ხმა ქართლ-კახეთის მასწავლებლებისადმი არ დარჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“... მრწამს, რომ გამოეხმაურებიან...

გრ. საქარიქედელი.

---

*)безъ приказа сверху и безъ доноса сниву.

რედაქტორ-გამომცემელი

სანდრო შანშიაშვილი

შაბათს 5 მარტს

ახალ-[illegible] ღამით

დავკარგე

საფულე 65 მ. და 83 მან. კვიტანციებით. მნახველს უმორჩილესად ვთხოვ დამიბრუნოს. ჯილდოთ მიიღებს 25 მ.

მისამართი: ყიფიანის ქუჩა № 11 **გრიგოლ ამალლობელი.**

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

თბილისიდან გადის:

			№	ს. წ.	
ბათომისკენ	სამგ.	მ.	9	. 8.53	სალ.
„	საფ.	„	3	. 9.58	დილ.
ხაშურისკენ	სამგ.	„	19-20	3.20	ნაშ.
ბაქოსკენ	ჩქარი	„	4	. 10.20	სალ.
„	ჩქარი	„	6	. 12.8	დღის
„	სამგ.	„	8	. 11.13	ღამ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	. 11.13	ღამ.

თბილისში მოდის:

ბათომიდან	საფ.	მ.	4	. 9.30	სალ.
„	სამგ.	„	10	. 9.51	დილ.
ბაქოდან	საფ.	„	3	. 9.3	დილ.
„	ჩქარი	„	5	. 7.41	სალ.
„	სამგ.	„	7	. 1.42	ნაშ.
ხაშურიდან	სამგ.	„	19-20	7.25	დილ.
ყარს-ერევნ.	საფ.	„	4-3	. 8.8	დილ.

კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

მიმოსვლა ყოველდღე სჯარმოებს.

თბილისიდან გადის:

ტფილისიდან . .	8	ს.	58	წ.	დილ.
ნავთლუღი-ამიერ კავ.	9	„	23	„	„
ნავთლუღი-კახეთისა.	9	„	43	„	„
ვაზიანიდან . .	10	„	42	„	„
იორიდან . . .	11	„	35	„	„
საგარეჯოდან .	12	„	17	„	„
ბადიაურიდან .	1	„	15		დღის
მელაანიდან . .	2	„	37	„	„
გურჯაანიდან .	4	„	08	„	„
ვაჩნაძიანიდან .	4	„	58	„	„
თელავში მიდის .	5	„	35	„	„
გურჯაანიდან .	4	„	18	„	„
კარდენახიდან .	4	„	50	„	„
წნორის-წყალ. მიდის	5	„	15	„	„

თელავიდან

თელავიდან . . .	8	ს.	58	წ.	დილ.
ვაჩნაძიანიდან .	9	„	45	„	„
გურჯაანიდან .	10	„	46	„	„
მელაანიდან .	12	„	02	„	„
ბადიაურიდან .	1	„	13	„	დღის
საგარეჯოდან .	2	„	15	„	„
იორიდან . .	2	„	53	„	„
ვაზიანიდან . .	3	„	40	„	„
ნავთლუღ-კახეთ. .	4	„	31	„	„
ნავთლუღ-ამიერ-კავ.	4	„	46	„	„
თბილისში მიდის .	5	„	01	„	„
წნორის-წყლიდან .	9	ს.	16	წ.	დილ.
კარდანახიდან . .	9	„	46	„	„
გურჯაანში მოდის	10	„	16	„	„

1916 წ. მიიღება ხელის მოწერა

დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ

„ნ ა კ ა დ უ ლ“-ზე

წელიწადი მეთორმეტე

ჟურნალი „ნაკადული“ გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ მოწვეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ

24 წიგნი „ნაკადული“-სა მცირე წლოვანთათვის. 12 წიგნი „ნაკადული“-სა მოზრდილთათვის.

ყოველი წიგნის 1-ლ გვერდზე იქნება მოთავსებული გამოჩენილ მხატვართა ნახატი

ფასი ჟურნალისა: წლიურად ორივე გამოცემა—5 მან. იმათთვის, ვინც ჟურნალს რედაქციაში მოიკითხავს, გაგზავნით კი 6 მან. ნახევარ წლით—3 მ. გაგზავნით 3 მ. 50 კ., ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის **24 წიგნი 3 მ.** გაგზავნით 3 მ. 50 კ. მოზრდილთათვის **12 წიგნი—3** მან. გაგზავნით 3 მ. 50 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვსთხოვთ ხელის მომწერლებს თუ ჟურნალი „ნაკადული“ არ მისდით, ერთი თვის განმავლობაში გვაცნობონ და ადრესის გამოცვლა დროზე შეგვატყობინონ ადრესის გამოსაცვლელად—40 კ. შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს.

ხელის მოწერა მიიღება

ტბილისში—„ნაკადული“-ს რედაქციაში, ზუბალაშვილის სახლი გოლოვინის პროსპ. № 8. Редакція „Накадули“, Головинскій пр № 8. შემოსავლელი დავითის ქუჩიდან, № 2. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქ. **ქუთაისში**—ისიდორე კვიცარიძესთან, მ. ყაუხჩიშვილთან და თ. მთავრიშვილთან. **სამტრედიაში**—ვლ. ნაცვალაძესთანა. **ფოთში**—ლუდმილა მეგრელიშვილთან. **ბათომში**—ტროფიმ ინასარიძესთან ფოსტაში და სამსონ ყაზაიშვილთან უპრავაში. **ოზურგეთში დ ლანჩხუთში**—ლეო იმნაძესთან. **თელავში**—ვანო პაატაშვილთან. **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან. **ბაქოში**—მარიამ ნაკაშიძესთან. **გორში**—ქეთევან ჯავახიშვილთან და ნინო ლომოურთან. **ჭიათურაში**—ივ. გომელაურთან. **ხონში**—მ. ი. ჭავჭანიძესთან. **მიხაილოვში**—გიორგი ნაკაიძესთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე**

გამომცემელი თ-დ პავლე იოსების-ძე თუმანიშვილი.

თევზის მრეწველნი

ძმ. ძეძველოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „„**მეშოხნე**“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ნებადართულია სამხედრო ცენზურისაგან

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა, გაზაფხულის შესახვევი № 4.